


ფიფიგული სახლი

ქართული ერისა

[ქართული არქიტექტურა]



გ. კ-10


თბილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „მობისა“, მოსკოვის ქუჩა, № 5.

1908

დიდებული სახლი

ქართული ერისა



33756



1908 წ.

დიდებუღი საკმე

ქართველი ერისა

ქართველებს ძველადგანვე გვქონდა სხვა და სხვა საერო და სასულიერო სასწავლებლები, როგორც დაბალი ხარისხის, ისევე შუათანა და უმაღლესიც. იყო აკადემიებიც და ასევე საერო უნივერსიტეტებიც. ქართველთ შვილებს აკადემიებში ასწავლიდნენ სამღრთო სჯულს, ძველსა და ახალს მცნებას, სამღრთო ფილოსოფიას, საქართველოს ისტორიას უძველესის დროიდან, ქართული ნოტებით გალობას და მღერას. ასეთი აკადემიები ქართველთ ქრისტიანობის მიღების შემდეგ აქვნდათ ხახულს, პარხალს, იყალთოს, გარეჯას, ოპიზას და სხვაგანაც. ამ სასწავლებლებში ქართულ ენას გარდა ზედმიწევნით ასწავლიდნენ სხვა და სხვა ტომთა ენებსაც, ამის ცხადი საბუთი გახლავთ ის გარემოება, რომ ძველად ქართველნი ისე სწავლობდნენ აქ ამ ენებს, რომ ივინი თავისუფლად სთარგმნიდნენ სხვა და სხვა წიგნებს ებრაულის ენიდამ, სირიულის ენიდამ, ელინურის და რომაულის ენიდამაც. ეს ცხადი ფაქტი გახლავთ, რადგანაც ამ ენებიდამ ქართველებს ვრცელი ტომები აქვთ ნათარგმნი. ებრაულის ენიდამ: დაბადება, დავითნი. ელინურიდამ: სახარება, სამოციქულო. ქალდეურის ენიდამ ვარსკვლავთ რიცხვა და ბედაურთ მკურნალობა. სპარსულიდამ „შაჰ-ნამე“ და მრავალიც სხვანი ენით დაუთვლელნი.

საერო სასწავლებლებში, ანუ იმ დროის უნივერსიტეტ-
ში ასწავლიდნენ სხვა და სხვა ენებს: არაბულს, სპარ-
სულს, თათრულს, ქალდეურს, ელინურს და ლათინურს.
უმეტესად არაბულს ენაზედ სწავლობდნენ მათ მიერ გამო-
ჩენილ ყველა სამეცნიერო და ფილოსოფიურ საგნებს. ბალ-
დადის მსწავლულთ შრომათა ცნობებს, ვარსკვლავთ რიცხვას,
მატემატიკურს საპასეჟო ცხრილს, მიწის მზომელობას (ზემ-
ლეგერია) ხუროთ-მოძღვრებას (ინჟინერია), კოსმოგრაფიას,
ცისა და დედამიწის ამბებს. ქანდაკს, ქვის მტვრევა-ტეხას,
გვირაბების გაყვანას, ტინის ხიდების კეთებას, ჩუქურთმას,
თითქმის ყველა საჭირო საგანთა შესწავლას. ყოველივე ეს
რომ მართალია, ამას ამტკიცებენ სხვა და სხვა შთენნი და
ღირს სახსოვარნი ძეგლნი. ტაძრების აღშენებას და მათს ხე-
ლოვნებას განცვიფრებაში მოჰყავს თანამედროვე ევროპიელთ
მოგზაურნი და მსწავლულნი, ასევე ფრიადო მაღალს კლდე-
ებზედ გაკეთებულს ციხეებს, კოშკებს და მაგარ ტინის ხი-
დებს და სხვათა, რომელნიც დღესაც სდგანან მაგრად და
შეურყევლად შემდეგაც კარგა ხანს დაშთებიან ესენი, ვიტ-
ყვით აქ იმასაც, რომ ყველა ზემოდ ხსენებულს საგანთ გარ-
და ცხადი მოწამეა და ხატება არის თვით ქართველთ ერის
წარსულის ყოფა-ცხოვრება და მათი განვითარების ზომა, ყო-
ველს საფილოსოფო და სამეცნიერო ასპარეზზედ, ამის ცხა-
დი საბუთია შემდეგ პირთა ცხოვრების ცნობები, რაც კი აქ
ჩვენ ერთობ მოკლედ მოგვყავს: საკმარისის ცოდნით და ბე-
დაურთა მკურნალობით და მწერლობითა სჩანს მირიანის შვი-
ლი ბაქარი, ამის შემდეგ პეტრე მურვანოზი, სირიას გაზდილ-
განათლებული, რომელმაც მრავლად სფარგმნა ქართულ ენა-
ზედ სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნები. ამათ შემდეგ დროს,
იოვანე შავთელი, კაცი კარგად განათლებული, გრძგოლ ჩა-
ხრუხაძე, წარჩინებული გვამი, შოთა რუსთაველი, თმოგვე-
ლი და სხვანი, რომელნიც ქრისტიანობის მიღების შემდეგ

თითქმის ყოველ ღროსა და საუკუნოებშიაც სცხოვრებდნენ თვით მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე. ასე და ამ გვარად, ხალხის გასაწურთნავად გვაქვდა ყველანაირი სკოლები და უმაღლესი სასწავლებლებიც. ასეთი სასწავლებლები არსებობდნენ ძველის ქართულის წესწყობილების მოთანხმედ და ყოველს სასწავლებელში დაახლოვებით და ზედმიწევნით ასწავლიდნენ პალიოგრაფიის განვითარებას, მის ასპარეზზედ ცდასა და შრომას. ამას ითხოვდა ქართულ წიგნების გადამწერლობა.

ქართველ ტომის განვითარებას უძველესის დროიდან იხსენებენ. ამ აზრისა არიან ევროპის მსწავლოლნი და მათ შორის რუსთაგანი ბარონ როზენიც. ჩვენის ტომის შესახებ ასახელებენ ასე: კოლხები ძველის-ძველადგანვე განთქმულან ხელოვნურად ზღვაოსნობასა და ამ ხელობის საქმეებში, იგინი ამარტლებულან ძველადგანვე უმაღლესის ცივილიზაციით და კულტურით. კოლხების კულტურა მოფენილი ყოფილა მთელს აღმოსავლეთში ისე, რომ მათგან მიუღიათ განათლება-განვითარება თვით ელინთა და რომაელთაც. ასეთ გარემოებათა მერახებით, კოლხებთ შორის დრო და დრო ყოველთვის მოფენილი ყოფილა სხვა და სხვა სკოლებიც, ხან ეგვიპტურის წესით, ხან ჩინელთა, ხან ინდოელთა, ხან ასირიელთა, ებრაელთა და მათ შემდეგ ელინთა. ეგვიპტელნი რომ საქართველოში ყოფილან და ქართველები ეგვიპტეში, ეს ისტორიულად ცნობილია, ამიტომ ნურავინ იუცხოვებს იმ ცნობათა გარემოებას, რომ ჩვენ აქ ქართველ ტომის სწავლის ასპარეზზედ ეგვიპტურ სკოლათა გავლენა ვალიარეთ-რასაკვირველია სხვათა გავლენა და ნამეტურ ელინთა და რომაელთა ხდებოდა მაშინ როცა იგინი ჩვენზედ სახელმწიფოს ძალაფრებით მალლა იდგნენ, მაშინ ჩვენ მათგან ვიღებდით, მათგან ვითვისებდით ჩვენგან ბოძებულს განათლება-განვითარებას. ამის მაგალითია თვით ის გარემოებაც, რომ ძველ

ხალხთა კულტურა და განათლება ნილოსის და ეფერატის კიდებზედ აღორძინებულა, მერე ეს აქედამ დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოდ წასულა, იმ დროს ჩვენც მოგვეფენია და მიგვიღია ძვირფასი შტო განვითარებისა, მერე ჩვენგან სხვებს მიუღიათ. ასეთივე აზრი იყო გამოთქმული 1903 წ. იაპონურს გაზეთებში, ერთის იაპონელის პროფესორის სიტყვის წარმოთქმის გამო, რომელსაც ტოკიოს ერთს უმაღლეს სასწავლებელში წარმოუთქვამს, ეს სიტყვა იმ დროის რუსულ გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი. პროფესორი ამბობდა, რომ ევროპიელნი ჩვენ გვყვედრიან, რომ ევროპიელთ განათლება, ჩვენ მათგან მივიღეთო და ეს კი ასე არ გახლავსთო. ძველი განათლება აღმოსავლეთში აღორძინდა ნილოსისა და ეფერატის კიდებზეო, მერე იგი იქიდან ევროპაში გამოეფინა ელინთა და რომაელთ საშვალეებითო. შემდეგ დროს, ეს განათლება ევროპიელთაგან ჩვენც მივიღეთო, ესე იგი ჩვენი ჩვენ მივიღეთ და ამიტომ ევროპიელნი ამაზნდ არც უნდა გვკიცხავდნენო.

ძველს ქართულს სასწავლებელთა გვერდით ევროპიულის სწავლის წესებით სკოლების დახსნა პირველად XVII საუკ. 1626 წელს თფილისში გახსნეს ევროპიული სკოლა. იწყეს თფილისში შრომა მარტოდ კათოლიკის ბერების ღწვით და შრომით არ გათავდა საქმე, ესენივე ამზადებდნენ ევროპაში გასაგზავნად და სასწავლებლად ქართველთ უვილებს სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლედ. ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ქართულთ სტუდენტთა რიცხვი არას დროს არ მოსპობილა, თვით რომში, XVII საუკ. ნახევარს, კონგრეგაციის წინაშე, დაარსებულ იქმნა ქართული ენის კათედრა და მასზედ პროფესორად განწესებულ იქმნა კარგად მცოდნე პირი ქართულის ენისა. ქართულის ენის კათედრამ და პროფესორთა რიცხვმა თვით 1800 წლამდისაც მიაღწია. იქ უკანასკნელ დროს

პროფესორად იყო მღვ. გრიგოლ ბალინოვი, ქართულ-სომხურ ენების მთარგმნელი პაპის კოლეგიაში. ამ პირმა რომში, 1800 წ. ქართულს ენაზედ „საქრისტიანო მოძღვრებაც“ დასტამბა.

ასეთს სასწავლებელთ, მასწავლებელთ და მოსწავლეთა რიცხვს XVII საუკუნეში მოევლინა ის გარემოებაც, რომ ქართველთა იწყეს ევროპას მგზავრობა სწავლის მისაღებად, XVII საუკ. დამდეგიდან, საქართველოდან ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში 10-მდე ყმაწვილი წასულა სასწავლებლად, იმათ ხელმძღვანელნიც იყვნენ იმ დროის კათოლიკის ბერები, ამათისავე ხარჯით იგზავნებოდნენ იგინი. ერთი ქართველთაგანი იმ დროის უმაღლეს კომერციულ სასწავლებელშიც შესულა*). ასეთი სტუდენტებთა რიცხვი რომს, ნეაპოლს და სხვა იმ დროის ქალაქებში არას დროს არ მოსპობილა. ამათ გარდა ქართველნი რუსეთშიაც ხშირად მგზავრობდნენ და ერთი ამათგანი იყო ანტონ კათალიკოზიც. სასულიერო უმაღლესი პირი, ფრანგობისთვის, 1751 წ. დევნილი საქართველოში ეს პირი საქართველოდან რუსეთში განაძევეს ექსორიად. რუსეთის სინოდმა იგი დიდის პატივით მიიღო. ეპარქია მისცეს, 1764 წ-მდე ანტონ კათალიკოზი რუსეთში დაშთა. იქ მას თან ახლდნენ ქართველთა ძენი. ესე იგი კრებულთი მისი, ზოგიერთ მათგანნი რუსის სემენარიებში შეიყვანა მოსწავლედ და ერთი—გაიოს ნაცვლიშვილი მოსკოვის აკადემიაში შევიდა სასწავლებლად, სწავლა ამან იქ, აკადემიაში დაამთავრა ეს პირველი ქართველია, რომელმაც XVIII საუკ. რუსეთში პირველად მიიღო უმაღლესი სწავლა. ამის შემდეგ, 1775 წლებში, მოსკოვის აკადემიაში მეორე ქართველმაც მიიღო სწავლა. მოზღოკელმა, დავით ბაზალაძემ, შემდეგ დროს მღვდლად კურთხეულმა.

ანტონ კათალიკოზი დაბრუნდა საქართველოში, თან წამოიყვანა თვისგან გაზრდილ ქართველთ სასულიერო და საე-

*) ისტორია მ. თამარაშვილისა 1903 წ.

რო შვილები. საქართველოში მოსვლის დღიდანვე ანტონ კათალიკოზმა და მისმა მოწაფეებმა ისურვეს ქართველთ სასწავლებლების გარდაკეთება, უფრო სლავენურად, ან რუსულად მოწყობა, წადილი მალე შეასრულეს და ბევრის ცდის და შრომის შემდეგ თფილისსა და თელავში გახსნით გადააკეთეს ქართველთ კათალიკოზებისაგან დაარსებული სემენარიები, თფილისის სემენარიის გახსნის ისტორია დაიკარგა, ის კი ვიცით, რომ სხვათა შორის, ერთ დროს, ამ სემენარიის რექტორის თანაშემწედ იმყოფებოდა თფილისის სომეხთ მსწავლელი ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელიც სომეხურს ენასაც ასწავლიდა მოწაფეებს. ესევე იყო ხატვის მასწავლებლად და ხაზვის, მას სწავლა ვენეციაში აქვდა მიღებული.

თელავის სემენარიის გახსნის დღე იყო 1781 წ. ეს დღე თელავში დიდის ამბით იქმნა მიღებული. სწავლა დაიწყო 1 სექტ. რექტორად დანიშნეს გაიოს ნაცვლიშვილი. სემენარიის გახსნის დღეს, სიტყვა წარმოსთქვა რექტორმა გაიოსმა და ანტონ კათალიკოზს ასე მიმართა: ქართველებს სასწავლებლები ძველიდგანვე გვაქვდა, გვაქვდა ყველა ხარისხის სასწავლებელი, ქართული სასწავლებლები ზრდიდნენ ისეთ წარჩინებულ პირთ, როგორც მაგალითებრ აქ ბრძანებული დოსითეოსი ბრძანდება და სხვანიც. დიახ, ჩვენ გვაქვდა ჩვენებური სასწავლებლები, რომელნიც უმაღლესად აჯილდოვებდნენ ქართველთა შვილების გონებას. ხოლო ასეთის, ანუ სლავენურის წესებით არსებული სკოლები კი არ გვაქვდა; ეს პირველი მაგალითი გახლავსთ. სიტყვაში მოხსენებული დოსითეოსი გახლავსთ გვარად ჩერქეზიშვილი, ნეკრესელი, კაცი სამღრთო მეტყველი, ფილოსოფი, სომეხურის და ელინურის ენიდამ ამან სთარგმნა მრავლად სამღრთო შინაარსის და ფილოსოფიური წიგნები, ამანვე სთარგმნა 1780 წლებს, ვრცელი „დიალექტიკა“.

დიახ ბრძენი პირი გახლდათ ეს პირი და ძე ქართულის სკოლის და ფილოსოფიურის სწავლის. ეს პირი მართლაც შესანიშნავია თავის დროის კვალად. იგი მოკლულ იქმნა 1795 წ. სპარსთაგან და ტყვარში ჩაგდებულ. უნდა მოგახსენოთ, რომ გაიოსის სიტყვის თანახმად ჩვენ გვაქვდა ჩვენებური სასწავლებლები, საკუთარს ქართულს პედაგოგიაზედ დამკვიდრებული და აღორძინებული. სკოლებში ქართულს წესებს გარდა ბერძნული და სპარსული სწავლა განათლების წესებიც აქვდათ მიღებული. ხოლო ამ სასწავლებლის გახსნილამ კი ქართველთ განაგდეს სპარსული და ბერძნული და სლავენურ-რუსული მიიღეს, რომელიც უფრო ევროპიულს სწავლის წესებს ემსგავსებოდა. სპარსული წესები იყო ის, რომ მოწაფენი მუხლ-მოკეცილები იყვნენ სასწავლებელში და პატარ პატარა ნაალებზედ ისხდნენ. სწავლობდენ დილიდან საღამომდის და გაუჩერებლივ. ყოველივე ეს და ამ გვარები გააუქმეს და უფრო ევროპიული წესები შეიტანეს ქართულს სკოლებში 1782 წლიდან. მაშინ თფილისში იყო 11-მდე სკოლა და ერთი სემინარია: 1, სემინარია, 2, ქართველ კათოლიკეთ სასწავლებელი, ევროპიულად დაარსებული 1626 წლებს. 3, საექიმო და სადოსტაქრო სასწავლებელი. 4, სომეხთა სასწავლებელი, 5, კათალიკოზის კარის სკოლა. 6, მეტეხის სასტამბო სკოლა. 7, ჯვარის მამის სამრევლო სკოლა. 8, სიონისა. 9, ანჩისხატისა. 10, კლოუბნისა და 11, ქაშუეთისა. ამ სკოლებს გარდა სხვა სასწავლებლებიც იყო, კერძო, მათი ცნობები არა გვაქვს, იმიტომ აქ მათ არ ვახიხლებთ. ერთს კი მოვიხსენებთ: სამხატვრო და სახაზავი სკოლის გამგე და მასწავლებელი იყო თფილისელი სომეხი — ტერშმოვანი, ვენეციას გაზრდილი, ამასაც აქვდა სკოლა. მეფე ერეკლეს თხოვნით აშან დახატა თფილისის პლანი 1783 წ. მოვიხსენებთ იმასაც, რომ საქართველოში რუსულის და სლავენურის ენების სწავლებაც ამ დროდამ შემოიღეს ქარ-

თველთა . 1626 წ. დაარსებულ კათოლიკეთ სასწავლებელ-ზედ დღეს სდგას ორ კლასიანი სასწავლებელი და სომეხთ იმ დროის სასწავლებელზედ დღეს სომეხთა ნერსესიანის სემინარია.

იმ დროს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, თუმცა საქართველოს დედა ქალაქი—თფილისი დაქცეულ-დანგრეული იყო, მაგრამ როგორც ზემოთაც ვსთქვით. სხვა და სხვა სასწავლებლებიც თავის ზომით არსებობდა. კერძოდ დაარსებულ სკოლებს გარდა მაშინ საქართველოს ერში ისეთი ჩვეულება იყო, რომ ვინც კი თავის შვილს სადმე ხელობაზედ, ან ვაჭართან მისცემდა შეგირდად, იქ პირობას ართმევდა ოსტატს, რომ ხელობასთან წერა-კითხვაც უნდა ესწავლებინათ, და მასთან დღიური ლოცვები. აზიის მცხოვრებთა საშუალო მომწყვდევულს ქართველს ერს თავის სულის ძალა ადვილათ არ ელეოდა. იგინი მედგრად იცავდნენ თავიანთ ქვეყანას და თუ არ დიდის გაჭირებით ისე არ სთმობდნენ მამაპაპეულს მამულს— ე. ი. სამშობლო ქვეყანას, ენას და სჯულს, ქართველნი სომხების, ბერძნების და სხვებივით, 500—600 წლის წინათ კი არ დავეცენით, არამედ კარგა გვიან, ისიც უგვან პირთა უმეცრებით.

ამ მთავარ ძალას ქართველის ერისას იცავდა ხალხი, მისი მარჯვენა, სკოლა, სკოლაში დედა ენის ხმარება, სამშობლო, ან საკუთარი ეკკლესია, ეკკლესიის ქართული ენა და სამეფო მართვა გაზგეობაში ქართული ენის ხმარება. ეს მცნება იცავდა ქართველ ტომს შეურყევლად და მედგრად მოსავდა მტრის საწინააღმდეგოდ, იმიტომაც იყო რომ ქართველი ყოველთვის „ქულზედ კაცს და მდევარს“ ჰყვიროდა და სხვანი. დამონებული ერის ვითარება კარგად ესმოდათ, იცოდნენ რომ დამონებული კაცი მარადის უნდა იქმნეს მოკატუნებული, მონა, დაცემული, დაბრიყვებული და იმიტომაც არ უხრიდენ ქედს დაუძინებელთ მტერს. სამარადისოდ თვით არ-

სებობის მნატვრელთ დიდი სურვილი აქვდათ თავიანთ თვით არსებობის და იმიტომაც იყო რომ ყოველ აოხრების შემდეგ, უცბათვე ხსნიდნენ სკოლებს, ეკლესიებს ანახლებდნენ და ყოველივეს აღშენებას აძლევდნენ. ასე იყო ქართველთ ვითარება და იმიტომაც მოხდა რომ 1795 წ. სექტემბრის შემდეგ, თფილისი მალე მოშენდა, გაკეთდა სკოლები, გაიხსნა განახლებით საექიმო სკოლა და მასთან მოჰყვა მესაათების ხელობის სწავლის სასწავლებელიც. საექიმო სკოლა 1788 წლებში იქნა თფილისში გაფართოვებული დოქტორ რეინგესისაგან, მესაათის სკოლის მეთაურობას მესაათე ნემენცი გოტფლიდი სწევდა. დოქტორ რეინგესი და ნემენცი მესაათე გოტფლიდი პატივცემულ იყვნენ მეფე ერეკლე და გიორგისაგანაც. ასე იყო ქართველი ტომის ვითარება და მის საეროვნო მცნებას თავის შესაფერი ძლიერება ასულდგმულებდა და ამეტყველებდა.

დროთ ცვლილების და რუსეთის გამგეობის წყალობით, ქართველთ შორის ყოველივე ესე ამოვარდა და მოიხსო 1800 წლის შემდეგ. გარემოებამ და შინაურმა არევ-დარევამ ქართველები და საქართველო რუსის მთავრობის წინაშე ისე ჩენილ იქმნა, რომ ვითომც ქართველებს ძველადგან არც სკოლები აქვდათ, არც მასწავლებლები ჰყავდათ, არც სახელმძღვანელოები, არც ნასწავლი კაცები, არც მსწავლულნი მეცნიერნი და ფილოსოფნი და არცა რამ სხვა ასეთნი, თუ რამ აქვდათ და ისიც რუსთა გავლენის ქვეშ აღორძინებული. ასეთი ცნობები გაიფინა მთავრობის და რუსთა წინაშე, მაგრამ ყოველივე ეს იყო ქორი, მოგონება მტრობით, ზიზღით, ჭამცირებით, უკან დასაწევად და მასთან მის დახილად, რომ ქართველები არაფერი იყავით, არაფერი გაქვდათ, ყოველივე ჩვენ რუსებმა მოგანიჭეთ. ამის დახილი მათ რმავ თავიდანვე დაიწყეს და ბევრნი დღესაც ამას გაიძახიან, მაგრამ უყუილად და უსაგნოდ.

უნდა ითქვას, რომ ამ ტყუილი ცნობების გაფენის მი-
ზეზნი რუსნი კი არ არიან და რუსის მთავრობა, არამედ ჩვენ
ქართველები ვიყავით, ჩვენ დავეჩვიეთ ქვე-მძრომელ ტყუილებს,
რასაც ჩვენ ვლაპარაკობდით და ვსწერდით, რასაც ჩვენ ვეუ-
ბნებოდით რუსებს, ისინიც იმას გვეუბნებოდნენ და უფლება
აქვს რომ დღესაც გვითხრან.

ასე იყო თუ სხვა ფერ, საქართველოს თავის დამოუკი-
დებლობის შემდეგ, ყოველივე წაერთვა ხელიდამა და თითქ-
მის მოუკვდა, თავისი ყოველივე გარდაეცვალა და მის მაგიერ
ვერც ახალი აღუშენდათ რამე, ამიტომ ქართველნი ახალ მთა-
ვრობის ხელში დაშთნენ ცარიელები, თითქმის ერთი სკო-
ლაც კი აღარ აქვდათ, 1801 წლიდამ, ამ გარემოებას ძალა-
უნებურად მთავრობამაც მიაქცია ყურადღება, სკოლის გახს-
ნა აუცილებელ საჭიროებად დაინახეს, რადგანაც ამ სკო-
ლის საშუალებით, მოსწავლეთა შორის, რუსულს ენასაც შე-
იტანდნენ, მერე აქ ნასწავლის კაცებით, საქართველოში, ქარ-
თველთ შორის, გამეფდებოდა ეს ენა. ეს საჭიროება ქა-
რთველებმაც დაინახეს, იწყეს ერთგულად შესწავლა, ან
სწავლის ცდის შედეგს დღევანდელი სურათიც ასაბუ-
თებს. თფილისში ახალი რუსული სკოლა იქმნა დაარსებუ-
ლი 1804 წლიდამ. ერთად ერთი ეს სკოლა იქნა მთავრო-
ბისაგან ქართველებისთვის გახსნილი. სკოლის უფროსად დავით
რექტორს ნიშნავდნენ, მაგრამ ამან არ ქმნა, ულუაშებს ვერ
მოვიპარსავო, ეს როგორც მაშინ წესად აქვდათ რუსის სა-
სწავლებლის მასწავლებელთ, დავით რექტორს თავის დრო-
კვალად დიდი ცოდნა აქვდა მიღებული ქართულ სკოლი-
დამ. 1787 წლის შემდეგ, თელავის სემინარიის რექტორა
გაიოსის ნაცვლად ეს იქმნა დანიშნული. დავით რექტორ
მღვიძარე იყო და მწუხარებით მხერდა ქართველ ერის სა-
მეთა გარდაცვალებას და მათ მაგიერ უცხო ტომის საქმე-
გაუცნობელ წესების შემოღებას.

პირველ სასწავლებლის გახსნა პირველ ღღეიდანვე საქართველოში, ქართველთ ერის წინაშე, გაჩნდა უკუღმართის სამხედროს თვისებით და მონური დისციპლინით, სკოლა გახდა იარაღათ გარუსებისა, გადაგვარებისა, სამწუხაროდ, იმ დროის მთავრობა მარტოდ გარუსებით ხედავდა თვის ერთგულ ძეთა გამრავლებას, ამით ლამოდენ მთელი აღმოსავლეთის ადგილების დამორჩილებას და ერთგულ ქართველ გმირების გაჩენას. დროებით არც მოტყუვდნენ იგინი და მართლაც გაიჩინეს თავგანწირული ისეთი გმირები, როჰელნიც მათის ერთგულებით მტერს ზედ აკვდებოდნენ. მტერთან პირის პირ ბრძოლა კი არა და საქმემ იქამდის მიაღწია, რომ თავდაზნაურებთ შორის, ვინც კი მოწინავე ოჯახის შვილებს ეკუთვნოდნენ, დაიწყეს გადაკვარება, გარუსების ნატვრა, ქართული ენის დავიწყება, რუსულის შესწავლა საქმემ და ქართველთ ნატვრამ იქამდე მიაღწია, რომ 1820 წლებში, ქართველთ წარჩინებულთ ხმა მალლა იწყეს გარუსების შესახებ ნატვრა, გარუსებას ითხოვდა აუცილებლად ახალი მთავრობის დამყარება მისი ენის შემოტანა და გამეფება. მისი კანონების ხმარება და ცოდნა, ვინც ეს ენა იცოდა, აბა ის იყო ბედნიერი და იმას მოსდიოდა ცხოვრება, სამსახური, ჩინები, ორდენები, სამსახურში უმაღლესი ხარისხი, თვით გენერლობის მიღებაც. ხალხის ასეთ უკუღმართობის და მის განცისკროვნებას თვით მძლავრი ცხოვრების მახვილი ჰქმნიდა და ჰქარგავდა დიდის სიმაგრით.

გარემოების ძალა და ქართველთ დიდებულთ უკუღმართობა იქამდე მივიდა, რომ ქართველთ აშკარად ჰკმეს დედანა, ასტორია და ქვეყანაც კი. ქართულ ენას გლეხების ენად სთვლიდნენ, დაბრძავებულთ და გადაგვარებულთ აღარაფრის მოსაზრება აქვდათ თვინიერ გარუსებისა. 1825 წ. მთავრობა ისე აღტაცებული იყო ქართველთ გადაგვარებით, რომ მთავარ-მართებელი პეტერბურგში, უმაღლეს მთავრობას სწერს

შემდეგს: „ქართველებში გარუსების საქმე ისე წინ წავიდა, რომ დღეს ქარღველს უთხრა ის ქართველია, იმით იგი გაჯავრდება, იწეენს და მაშინათვე გეტყვის, რომ მე რუსი ვარ და არა ქართველი“, ეს ცნობები და ბევრიც ამ გვარები მოყვანილია „კავკასიის აქტებში“ უნდა ითქვას, რომ მთავარ-მართველის ცნობა მართალია, თავის მხრით ამაშიაც ჩვენა ვტყუით როგორც უკულმართნი და არა რუსის მთავრობა.

1813 წლების შემდეგად, ქართველთ თავიანთ ვინაობის ყოველივე დასტმეს, დაკარგეს უფლება, ისტორია საიქიოს ჩააბარეს, ქართული ენა მეტ ბარგად აღიარეს, ქართული მწერლობაც ფეხქვეშ გაქელეს, აუარებელი ძველი წიგნები და ნამეტურ ხელთნაწერები ხევისა და ფხრეწას მიეცა, ძვირფასი ძველი ხელთნაწერები იარმუკაზედ მეწვრიმლებში ფუთობით სახევე ქალაღდათ ისყიდებოღდა. ეს ჭეშმარიტია, მთელმა ქართველობამ უნღა იცოღდეს, რომ მათ დაჰკარგეს ძრეღლ ბევრი ძველი ისტორიული წიგნები, ქართული ენა და წიგნი აღარავის აგონღებოღდა, ყველას გარუსება აღღა თვალწინ და საღაღო ქალღღღების და აპელაციების წერა. ვისაც კი შვიღღები ჰყვანღათ ყვეღა იმას ავღღღებღდა ამ შვიღღებს, რომ მათ რუსული ენა და წიგნი ესწავღღათ, გარუსებულღყენენ ყვეღღაფრღით. ვისაც ოჯახში გარუსებულღი შვიღღი ჰყვანღდა, მოღღულღე ქართუღღის ენის, წიგნის და ისტორიის, აბა ის იქებოღდა და იღღღებოღდა. ეს გარემოება იქამღღის ფართოღღ იყო გართხმულღი ქართველთ შორის, რომ იგი უყუღღღღღებოღღ არ დაურჩღღ იღღია ჭავჭავაძესაც და მან შემღღღღის სტრიქონებით შეამკო 1820—30 და 40 წღღების ქართველთ მამანი და ღღღღანი.

„თქვენ არ ხართ ისა, რომ ღღღღ-ენა

ბრქანებით დასთმეთ აღმოსავლეთად,

შიშით არც კარში და აღარც სახლში,

მას აღარ ხმარობთ, თქვენდა სარცხვენად“ და სხვანიც.

არ იფიქროთ, რომ ესეთი უკუღმართობის თესვა მარტო მთავრობის და რუსების ბრალი იყოს. არა, ქართველების უფრო მეტი გახლავსთ. გ. ორბელიანმა მიაბო, რომ თვით მამაჩემიც კი გვიტატანებდა სახლში, რომ ქართულ ენას და ლექსების წერის მაგიერ რუსული ენა და აპელაციების წერა შეისწავლეთო. ერთ დღეს შემოვარდა ჩემს ოთახში, ქართული წიგნები დამიწო და მე კიდევ დამიყვირა, რომ დაანებეთ ქართულს თავი, ქართული ენა გლახ-კაცებისა, ანუ ტეტიებისა არისო. ასეთი აყალმაყალი მაშინ ბევრს ქართველ ოჯახებში ტრიალებდაო. მეორე პოეტმა გრიგოლ ორბელიანმაც ასე წარმოსთქა 1879 წ. რომ ქართულ წიგნსა და ენას ვინ რა თავში იხლიდაო. ან გაზეთი რა საჭირო იყო და ან წიგნიო. ეს სულ ივან ივანიჩმა კერესელიძემ აიტეხაო. თორემ ქართულს წიგნსა და ენას გლახების ენად სთვლიდნენო, ჩვენც თუ რამეს ვსწერდით, იმას შინაურულად, მეგობართა და ნაცნობთათვის და არა დასაბეჭდათაო.

ეს მართალია და ქემძარიტი, ქართველთ მარტო ენა და მწერლობა კი არა ჰგმეს და დაივიწყეს, არამედ იგინი მასთან ერთად ჰკარგავდნენ თვის გლახთა სანაწილე მიწებსაც და ყოველივეს ფლანგავდნენ, სკამდნენ და მით იღვევებოდნენ თვის ტერიტორიებზედ როგორც დედა-ენით და ისტორიით, ისევე ადგილ-მდებარეობით და თვის საკუთრებით. ქართველის ასეთის ტუტუცობით სარგებლობდნენ მრავალ ფულიან და შექძლებულ გვამნი და იგინი ჩოტკიდ და ანგარიშით ქართველებს მელურად ეცოცებოდნენ და გველურად ჰკბენდნენ. ეს კიდევ არაფერი და მრავალნი სიხარულითაც ივსებოდნენ და ით ხითხითებდნენ. ზოგნი იტყოდნენ დალუბულთ ქართველებზედ: გავარუსეთ, გავარუსეთო. თვით სულის მამა ეგზარქსებიც ამის მალამოებათ გაჩნდნენ საქართველოში, იგინი რისტეს ტრაპეზის ფლობის მაგიერ ნამდვილს მებატონობას ჰემობდნენ, ბოქაულობას, ჟანდარმობას და ჯაშუშობის

როლს თამაშობდნენ, თავიანთის მლიქვნელობით თვით მთავრობასაც ატყუილებდნენ, თვით ქრისტეს სახელს პოლიტიკურის ბრძანებით მოსავდნენ. სასულიერო სემინარიაში, ქართველთ შვილებს აძულებდნენ ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას, თვით ქართულ გალობასაც კი ავიწყებდნენ და ყოველივე ამის მაგიერ სლავურს ასწავლიდნენ და აყვარებდნენ. საქმე ისე დაატრიალეს, რომ ქართველებში მთლად მოისპო ქართული გალობა, მღვდელთ-მთავართ წირვაც და ავიწყდათ, სიონში გაუქმდა ქართული ენა და ყოველივე. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან თუნდა შემდეგ მაგალითს:

1840 წლებში, გელათში დროებით გაამწყესეს თფილისის სემინარიაში კურს დამთავრებული და მთავრად ნაკურთხი ერთი იმერელი, რომელიც წირვა-ლოცვის თქმაში უნდა გასწორებულიყო. მისვლისათანავე ამან გელათში რუსულად დაიწყო წირვა და სულ „პაკი-პაკის“ იძახდა. ერთმა მოხუცებულმა თავადის ცოლმა შენიშნა ამ მთავარს, რომ „პაკი-პაკის“ ნუ ამბობო, ხალხს არ ესმისო. მთავარმა უთხრა: მე რუსული მიყვარს, ქართული მგლების ღმუილს ჰგავსო. კვირა დღეს კიდევ ასე სწირა ამ მთავარმა. წირვის შემდეგ ამ დედაკაცმა ვეღარ მოითმინა და მთავარს გზაში გამომავალს მაგარის ჯოხით დაუწყობ ცემა და თან უყვიროდა: „აი შენი პაკა პუკი, შე მამაძაღვო“ და მრავალიც სხვანი. ასეთი პირნი მაშინ საქართველოში ერთი და ორი კი არ იყო, არამედ მრავალნი. ყველა იგინი აღზრდილ იყვნენ ველურად და მთავრობის ბოროტების სახსრად და დამხმარედ. ასეთ პირთა წყალობით თფილისში მოისპო ყოველივე ქართული ენის ხმარების და მის მაგიერ სხვა დამყარდა, იქმნება არ დაიჯეროთ და ჩვენ კი თამამად ვიტყვით, რომ თვით ქართველ მღვდელ მთავრებსაც კი ერთ დროს ქართულს ენაზედ წირვის შესრულებაც კი დაავიწყდათ და დღესაც კი ქართულს ენაზედ მთავრის, მღვდლის და ბერის კურთხევაც კი აღარ იციან

როცა ამათ აკურთხებენ, მაშინ იგინი სლავენურად ასრულე-
ბენ. ამაზეა ნათქვამი „როგორც ერიო, ისეთიც მღვდე-
ლიო“.

ასე მოეწყო საქმე, ისე მოემართა ჩვენი ბედი რუსეთის
ხელში XIX საუკუნეში, რომ ნაცვლად წინსვლის და წარ-
მატების, ჩვენი ბენტერა დიდებულთა ოჯახები გადაგვარებას
და მოსპობას მიეცა. ქართული ენა მოკვდა მათში და თუ
იყო კიდევ სადმე დაშთენილი ისიც დევნას იყო მიცემულ.
ამ დიდებულებთა ასეთი გულგრილობა იქამდის იყო წინ წა-
სული და ცნობილი, რომ მრავალნი უცხონი ქართულ ენას
თამამად და გაბედვით „ძაღლის ენას“ უხმობდნენ. ეს ენა იგ-
მობოდა ასევე თვით სემინარიაში ქართველ მოწაფეთა წინა-
შე სხვა სასწავლებლებში უფრო ბევრად სდევნიდნენ და
სტანჯავდნენ. ქართული ენისა, ტანჯვას და დევნას დიდი
ისტორია აქვს. ბევრი გმობა და წამება ნახა ქართულმა ენამ,
ამის მეოხებით ქართველი მოწაფენიც ხშირად იდევნებოდნენ,
დევნა ამის გამო თავის ზომიერებასაც იყო გადასული, ამ
უკუღმართობის შესახებ ხშირად ყოფილა სჯა და კამათი,
ასეთ კამათს ყოველთვის ჰყვანდნენ მეტყველნი და გულშემა-
ტკივარნი ქართველთა, თუმცა მცირედ კი იყვნენ, მაგრამ მა-
ინც იყვნენ და ეს მცირე გუნდი დიდათაც დრტვინავდა ჩვე-
ნის ტომის შავს ბელზედ.

33756

XIX საუკუნის პირველს წლებიდან ქართველთათვის არ
იყო სასწავლებლები და არც იხსნებოდა მრავლად და თუ
რამე არსებობდა, ისიც მკვდარი იყო თავის წესებით ქარ-
ველთ წინაშე. იგი ქართველთა შვილთათვის მხოლოდ სახე-
ლით არსებობდა, სხვა რამ საეროვნო მნიშვნელობა მას სულ
არ აქვდა ქართველთა განათლების წინაშე, სწავლის მხრით
ქართველთა ძეთა საქმე იმ სიდიადით არ მიდიოდა, ეს რო-
გორც უნდა მომხდარიყოს. მართალია ქართველ ძეთათვის
სწავლის კარი გაიღო, ისიც ვიცით, რომ მთავრობა ქარ-

თველთა შვილებს სწავლისთვის აძლევდა დახმარებას, რომ ოღონდ ყმაწვილებს კი ევლოთ სკოლაში სასწავლებლად, მაგრამ ეს იყო დროებითი და ამას თუ შვრებოდნენ იმიტომ კი არა, რომ ვითომც მათ ქართველთა შვილების განათლებისათვის გული შესუკივოდათ, არამედ ეს იყო იმ მიზეზით რომ მათ რუსული ენის მცოდნე პირნი სჭირდებოდნენ, ასეთ პირებს კი აბა როგორ მოამზადებდნენ და გამოზრდიდნენ თუ არ ასეთის ოსტატურის სკოლის საშუალებითა. ეს გახლდათ მიზეზი სკოლების დახსნის და მოწაფეების წაყვანის, ამის გარეშე სხვა მეტი არაფერი იყო. პირველ დროებში, ქართველთა შვილებს საჩუქარს მით უფრო აძლევდნენ, რადგანაც ქართველნი მათს სკოლებს სულ არ ეტანებოდნენ და სამტროს თვალითაც უმზერდნენ.

დროის განვლის წყალობით, ქართველთა გლეხთა შვილებმაც იცნეს დროთა ცვლილება და მისი გარემოება, მკობრედ რუსთა სწავლის საქმეც საჭიროდ და სასარგებლოდაც იცნეს, ამიტომ სკოლის კარისაკენ ყურება დაიწყეს, ამ გარემოებას უფრო ფხიზელის თვალით სამღვდელოება მზერდა, ამათმა ასეთმა მზერამ გამოიწვია თფილისში სასულიერო სემინარიის დაარსება, ესე იგი ისეთი სასწავლებლის გახსნა, საიდანაც ქართველთა შვილები ცოდნას მიიღებდნენ და მთავრობაც მიაღწევდა თავის აზრს, ქართველებში რუსულ ენას გაავრცელებდა და არა საგანთ ცოდნას, განათლებას და მეცნიერებას. ამიტომაც საქართველოს ეკზარხოსი აჩქარებდა ასეთ გამრუსებელ სემინარიის მალე დაარსებას და ეს მალეც იქმნა მოხერხებული, თფილისში 1818 წ. გაიხსნა საქართველოს ძეთათვის სემინარია. ასე რომ 1820 წ. თფილისში ქართველთათვის ორი ფართო სასწავლებელი არსებობდა: კეთილშობილთ სასწავლებელი, დაარსებული გარუსებულის მთავარმართებელის ციციშვილის მიერ 1804 წ. მერე ეს სასწავლებელი 1818 წ. თფილისის კლასიკურ გემნაზიად გადააკეთეს.

და ახლად გახსნილი სემინარია. ასე და ამ გვარადვე დახსნეს პატარ-პატარა სასწავლებლები სამაზრო ქალაქებში და ასევე იმერეთში, ყველგან სადაც კი ქართველთ ერის მიწასა და საკუთრებულს ტერიტორიას შეადგენდა. ყველა ამ სასწავლებლებში ქართველთ შვილებმა იწყეს სიარული და სწავლა, კაი იყო თუ ავი, ქართველთ მაინც არ დასტოვეს სწავლის საქმე უყურადღებოთ, ნელ-ნელა შეეჩვივნენ ყოველივეს და 1825 წლებში ისე მოეწყო საქმე, რომ ქართველთაგანნი ორნი რუსეთის უმაღლეს სასწავლებელშიაც წავიდნენ სასწავლებელად, ესენი იყვნენ სოლომონ დოდაშვილი და პ. იოსელიანი. ს. დოდაშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაამთავრა სწავლა და პ. იოსელიანმა მოსკოვის აკადემიაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში სკოლების დახსნასა და გამრავლების დღიდგანვე, ქართველებს თან დაჰყვათ ერთი უბედურ გარემოებათაგანიც, რომელიც სხვა ყველა ახალ მოვლენილ უცხო თესლის ტომის სენისა და ბრძანებლობისაგან დიდათ განირჩევიდა, ჯერ არა იყო რა და თუ იყო და ისიც ქართველ კაცის გონებრივ წინსვლას უხამივით ერთხმოდა გარს. ეს უკუღმართობა და უკანონო, ანუ უაღამიანო ბოროტება გახლდათ შემდეგში: საქართველოს სკოლებში პირველ გახსნის დღიდგანვე სულ უცხო ტომის, ანუ ქართული ენის არა მცოდნე მასწავლებელნი იქმნენ დანიშნულნი. ამათ ქართული ენის არაფერი იცოდნენ და ბავშვებმა კიდევ რუსულის ენის, ასეთი მასწავლებელნი არც ქართველ ხალხს იცნობდნენ, არც ქართველ ბავშვის ბუნებას და არც კიდევ სხვა ასეთებს, ასეთი მასწავლებელნი რაკი თავიანთ ვალს კარგად ვერ ასრულებდნენ და ყმაწვილებს ადვილად ვერას ათვისებდნენ, ამიტომ მათ ამაზედ ჯავრიც მოსდიოდათ დიდათ და მასწავლებლობის მოვალეობის აღსრულების ნაცვლად დესპოტებათ ითვლებოდნენ, ბავშვების მტანჯველად და მღვენელად, მაგრამ მათი მახვილი არც ამი-

თი თავდებოდა. იგინი ბავშვებს სკოლაში პირველის დღიდანვე უკლავდნენ სწავლის გრძობას, ხალის და თითქმის ყველაფერს აზიზლებდნენ, ეს იყო მათი შრომის ნაყოფი, გარუსების მალამო და მთავრობისაგან გამოგონებული იაზმა, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ერთი უჯიშო იყო, უღლეო, მეორეც და მესამეც, თუცა ბოროტ უცხო ტომის მასწავლებელი არა ტყდებოდნენ და ბავშვების ყოველს ნაკლს თვით ბავშვებისავე უნიჭობით ხსნიდნენ. აბა ამას ვინ დაუშლიდათ მათ.

ამათ საქმეთ გაიხადეს ქართველებზედ ძვირის ლაპარაკი და ბოროტების დაწამება ასე: ქართველებს რუსების სწავლასძულთ, ქართველ კაცს სწავლა არ უნდა, რადგანაც იგინი აზიზლები არიან და ჭანდრის ქვეშ თამალობის, სმის, ქეთის, თამაშობის და მღერის მეტი სხვა არა შეუძლიანთ რა ქართველები უნიჭოები არიან, ქართველ ბავშვებს სწავლა არ შეუძლიანთ, იმიტომ რომ იგინი ტვინით გალაცებულნი არიან, რადგინაც მათ მამა პაპასაც ბევრი ღვინის ლოთობით ტვინი აღარ უვარგათ, ქართველები სულ ლოთობის დროს არიან შექმნილ-გაჩენილნი და აბა ასეთ ხალხის შვილებს რა უნდა ვასწავლოთ, არაფერი, უცნობ მასწავლებლებთაგან ასეთი ღირსების სახელი დავიმსახურეთ პირველის დღიდანვე და ეს დამკვიდრებული სახელწოდება თითქმის 1820 წლებიდან ჩვენს დრომდისაც კი მოაღწია და ესევე ბოროტებათვით 1878—88 წლებშიაც იქმნენ სხვა და სხვა უცხო ტომის პედაგოგებთაგან წარმოთქმულ განმარტული თამამად. მართლაცა და ასეთ გარემოებამ პირველის დღიდანვე ქართველ ბავშვებს გული გაუფუჭეს, ხალისი წაუხდინეს და სკოლაც შეაჯავრეს, რაც მართლაცა და მათს რიცხვს ყოველთვის სპობდა სასწავლებლებში წინსვლის და გამრავლების ნაცვლად.

უცნობ და უცხო მასწავლებელთა ბოროტებას ვერაფე-

რი უდგებოდა წინა და თვით ქართველებსაც არავინ ჰყვანდათ ისეთი რომ ამ გარემოებას წინ აღდგომოდა, რამე ეთქვა, მეორე: ან რა საჭირო იყო ეს მათთვის, როცა მათ ერთის მხრით გულში ქართველობის უარ-საყოფელი აზრებიც ეპარებოდათ, ხოლო ქართველის სახელით რომ ჰკიცხავდნენ მათ უცხო ტომის მასწავლებლნი, ეს კი ძრიელ ეთაკილებოდათ. ვერ ითმენდნენ და მტრობაც ენერგებოდათ გულში. 1828 წლების შემდეგ, შეძლებისად იგრძნეს ქართველთა თავიანთ თავის და შვილების შესახებ უკანონო კიცხვაგმობა და მხოლოდ ამ დროდან გაბედეს პროტესტების განცხადება, ამ ცნების მიზეზათ უნდა ერთის მხრით ჩაითვალოს სოლომონ დოდაშვილი და მეორეს მხრით კიკინაძე ბერი, ხოლო ამაზედ უმთავრესად პოლონეთის უნივერსიტეტებიდან საქართველოში ტყვეთ გამოგზავნილი სხვა და სხვა საგანთა პროფესორები, რომელნიც თფილისში სცხოვრებდნენ და ქართველებში დიდს ზე გავლენას ახდენდნენ. ესენი აღვიძებდნენ ქართველებს და თვალებს უხილებდნენ მამულისშვილობისთვის. ეს პროფესორები პოლონეთის უნივერსიტეტების დაკეტვის შემდეგ საქართველოში ჩამოუყვანიათ სულ ხელფეხში ხუნდებ შეყრილნი, იგინი თუმც პოლონელნი იყვნენ, ქართული ენა არ იცოდნენ, მაგრამ ქართველ ერს, როგორც პოლიტიკურად დაცემულთ კი თურმე დიდათ აღვიძებდნენ, გულში სამშობლო ქვეყნის ცნობლობის ნაპერწკალთ უნთებდნენ. ქართველნი მათ ამისთვის დიდად აფასებდნენ და ხშირად აქეთ-იქით ოჯახებშიაც ჰპატიუობდნენ. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლში ესენი ხშირად დაიარებოდნენ, ასევე სხვათა ოჯახებში და ყველგან ლაპარაკობდნენ მაღალის განსმკვრეტელობით. ასეთ ცნობათა მომთხრობ ქართველთა თვით ჩვენს დრომდე მოაღწიეს. ამაზედ ცნობა პირველად მე 1882 წ დავბეჭდე. პოლონელ პროფესორთა 1830 წ. თფილისის წრეები და მის საშუალებით ქადაგება ნათელი

ქეშმარიტება გახლავსთ. სამწუხაროთ ამაზედ ცნობები კი სულ არ გვაქვს, ხოლო ის კი ვიცით, რომ ნ ბარათაშვილის სახლში ერთხელ წვეულება ყოფილა, იქ მიწვეულთ პოლონელთ პროფესორებს ისეთი სიტყვები უთქვამსთ, რითაც პოლონეთის ხალხთა მიბაძვით ქართველთაც ჩაუხედნიათ თავიანთ გულში და ბედსა და გარემოებასაც დაჰკვირვებიან. სამწუხაროდ დღეს ასეთ ცნობათა მომთხრობთ რიცხვი სულ აღარ არის, ხოლო იმ დროის თფილისში მცხოვრებთ პოლონელთა შთამომავალნი კი საქართველოში დღესაც მრავლად სცხოვრობენ, ვინც კი ძველად მოსული პოლონელები არიან საქართველოში, ყველა იგინი იმ დროებში არიან აქ გამოგზავნილნი და დასახლებულნი საყოველთაოდ სასჯელისათვის.

II.

ჩვენ მივიდეთ ისევ სკოლებსა და იმ დროის უცხო მასწავლებლებზედ.

ასეთ უკუღმართ მასწავლებელთა წყალობით, ქართველ შვილების განსაწურთნავად და გასამცნებლად დაშთენილ გახლდათ მხოლოდ ერთად ერთი რუსული ენის შესწავლა, ქართველი თუ რუსულს ენას შეისწავლიდა, მაშინ ის არც „გლუჰი გრუზინი“ იქმნებოდა და არც „დურაკი“. ამიტომ მათ თავიანთი მოძღვრება საქვეყნოდ გამოჰფინეს, ქართველნიც და არწმუნეს ამაზედ და მიტომ საერთო რწმენის წყალობით სკოლებში ქართული ენა ისე აღკრძალეს, რომ ვინც კი ამ ენაზედ სკოლაში რამეს იტყობდა, იმას დასჯიდნენ, სცემდნენ, „ბეზაბედათ“ დასტოვებდნენ, შინაც გაუჯავრდებოდნენ ამისთვის და მერე ყველა უნიჭოდ ჩასთვლიდა, სწავლის მიღების არ მოყვარედ. ასე დატრიალდა ჩვენი საქმე ჩვენს სამშობლოში და ასეთის უკუღმართობის გზით წავედით სწავლის ასპარეზზედ მთავრობის შომხრე მასწავლებელთა წყა-

ლობით. ჩვენ ასეთ უგვან მასწავლებლებთან ვერა შევისწავლეთ რა და წინსვლის მაგიერ ერთს საფეხურზედ გავირდიით, ჩვენი შვილების საქმე თავის შესაფერს უზომო მდგომარეობაში მოთავსდა, ენის უცოდინრობამ ქართველ ბავშვებს დიდი ზარალი მოუტანა, ქართველთ რუსული ენა არ იცოდნენ და რუსებმა ქართული. უგვან და უკულმართ მასწავლებლებთა წყალობით, ქართველთა წინაშე დაიბადა ისეთი აზრები, რომ ქართველებმა თუ რუსული ენა ისწავლეს, მაშინ ისინი არც „გლუბი“ იქნებიან და არც „დურაკებიო“. ერთის სიტყვით, ამ ენის ცოდნა ყველა საქმეში გვიშველისო. ამ ქადაგების მცნება საქვეყნოდ მოჰტინეს. ბავშვებს კლასში აუკრძალეს ქართული ენა, ვინც ამ ენაზედ ხმას ამოიღებდა იმას სასტიკათ სჯიდნენ, დრო გადიოდა და ჩვენ კი მაინც ვერას ვსწავლობდით, მთავრობის უკულმართ მასწავლებელთ ეშმაკობა უნაყოფოდ შთებოდა და ჩვენ კიდევ წინსვლის მაგიერ განათლების მხრივ უკან ვრდომას ვეძლეოდით, ამის მიზეზების დაკვირვება კი ქართველებს სულ არ აქვდათ. ქართული ენის მოკვლამ და სკოლებში აღმოკვეთამ ერთობ დიდი ზარალი მოგვიტანა, მოგვისპო სულიერად და ხორციელადაც ისე რადგანაც სწავლის წესები მკვდარის, გაუგებარის ენით და წესებით სწარმოებდა, ამიტომ ბავშვებიც ვერაფერს სწავლობდნენ. ერთს მეორესი არა ესმოდათ რა, ყველაფერი არეულ-დარეული იყო. სამწუხაროდ ასეთ უკულმართობას თვით ქართველნიც აძლევდნენ მხარს.

დრო და გარემოებამ ისე მოაწყო საქმე, რომ თვით ჩვენს დროს, 1870 წლებს, ერთმა ქართველმა მოძღვარმა გ. ხ. მთავრობის რევიზორს მოხსენება მისცა და აუწყა შემდეგი: ქართული ენა ისეთი ტლანქი და ბრეყული ენა ჰქონს, რაც სწავლის დროს ემაწვილებს სასტიკათ აბრეყებს, აერუებს. ამიტომ ვითხოვ რამ ეს ენა სემინარიაში მისწავლიდ იქმნეს და ქართველ

ბავშვებს პირდაპირ რუსულად დაწყებინათ სწავლა და ამ ენით ასწავლოთ“, ეს ჭეშმარიტია, მართალი, ამ სიტყვების მოქმელი მამბეზლარა ქართველი მოძღვარი დღესაც ცოცხალია. ასეთ პირთა რიცხვი კი მაშინ დიდი იყო ქართველთ შორის და ყველა მათგან მთავრობის უჯერო მასწავლებლებთან ერთად ქართული ენის მდევნელებათ და მოკვლელელებათ ითვლებოდნენ სკოლაში. მათმა შრომამ ნაყოფი მოიტანა და მათის წყალობით ქართველი ბავშვები სკოლაში აღვილად ივიწყებდნენ დედა-ენას, ისტორიას, მწიგნობრობას, დავიწყების გარდა, ქართველებში გაჩნდნენ ისეთი გმირებიც, რომელთაც ქართველობა და საქართველოს ხსენება სათაკილოდ მიაჩნდათ, სამარცხვინო, ანუ საძრახად. ესენი თამამად ჰგმობდნენ თვის ერს, ქვეყანას, ენას და მწიგნობრობასაც, იმიტომაც აღარას მისდევდნენ ამ ქვეყნის და ერისას.

გათახსირდა ქართველი ერი, იგი დაადგა სიმჩატის და გადაგვარების გზას. თავიანთ სამშობლოში ქართველები დაბრმავდნენ, მართალია თვისას ყველაფერს ჰკრძალავდნენ, მაგრამ ვერც რუსული ენით მიდიოდნენ წინ დროის შესაფერად. მათს ქვეყანაში, მათს გვერდით, სხვა ტომის ერნი კი თავიანთის ენით ახელდნენ თვალს. ქართველების საქმე ისე დაეცა, ისე დაიღუპა, რომ მათ ძველი განათლების ძალაც დაკარგეს და მის მაგიერ ვერც ახალი შეიძინეს, ყოველივე წაერთვათ. ამ შავ-ბნელ დღეებმაც განვლეს, დაბრმავებულ ქართველებმა სხვათა მიბაძვით თვალები გაახილეს, მალე მიხვდნენ თვის სიბნელეს. უმეცრებას, ქვეყნისაგან ზურგის გადრეკას, ყოველივე უბედურებას, გონს მოსულნი მკირედ დუმილსაც მიეცნენ, მაგრამ ერთობ გვიან, სწავლის ასპარეზზედ თამამად გამოსვლა და განათლებით თვალის გახილება არამც თუ მუშა და ხელოსანთა შვილებისთვის იყო ძნელი, არამედ თვით შეძლებულ თავად აზნაურთათვისაც, რომელთაც მთავრობის მლიქვნელობით საეროვნო მცნება დახშული აქვნდათ და თვალებიც დახუჭული.

ჩვენის დახუჭულის თვალებით და ეროვნულის გამქრალის გრძნობებით ერთობ ცუდს წერტილამდის მივედით, ჩვენს მტერთ-მოყვარეებს შეუსრულდათ ყოველივე და მართლაც ქართველნი მხოლოდ ჭანდრის ქვეშ ქეიფსა და ძილს მივეცენით, სწავლისათვის აღარავის სცალოდა, ამის წყალობა გახლდათ, რომ ერთ დროს, თფილისის კლასიკურს გემნაზიაში, მოწაფეთა შორის, წელიწადში ქართველი ან ერთი გაათავებდა და ან ესეც არა. პირველ კლასში რომ ქართველი 20 ყმაწვილი ყოფილიყოს, უკანასკნელ კლასამდე 1—ან ორზედ ჩამოვიდოდა, დანარჩენთ ან გამორეკდნენ და ან თვითონ გამოვიდოდნენ სასწავლებლიდამ, ერთისა და მეორის მიზეზით გახლდათ ის, რომ სწავლის წესები ქართველ ბავშვებისთვის იყო მკვდარი და უვარგისი, ასეთ უჯიშო სწავლის წესების წყალობა გახლავსთ, რომ ქართველ ბავშვებმა უნიჭოების სახელი დაიმკვიდრეს. ერთი სიტყვით, 1840 წლების შემდეგ ჩვენს დედა ქალაქში, სწავლის ასპარეზზედ ნამდვილ პამპულებათ გავხდით, ჩვენი ყველაფერი მოკვდა.

ძველად, ქართველთ როცა აქვნდათ თავიანთი სკოლა და მასში გამეფებული დედა-ენა და მის საშუალებით სწავლა, მაშინ მათ დროს შესაფერად ყველა საგანზედ ნათელი წარმოდგენა აქვნდათ, მათმა გონების სინათლემ იქამდის მიაღწია, რომ მათ არ დაურჩათ ქართულს ენაზედ უთარგმნელი არც ერთი სამეცნიერო წიგნი და დოსითეოს ნეკრესელმა თვით ვრცელი „დიალექტიკაც“ კი სთარგმნა ქართულს ენაზედ ასეთი საჭიროება იყო მაშინ ქართველთათვის, სკოლაში ქართული ენის მოკვლის და გამოდევნის შემდეგ კი გაქრა ყოველივე ეს და მისწყდა ხმა დედა-ენის საშუალებით ნათლად გაგება განღვიძებისა. ამოვარდა ყოველისფერი ძველის მცნების და გაუგებარის ენის წყალობით დაიხშო ყოველივე, მინამდის სკოლაში დღეს ქართველი ბავშვი რუსულ ენას ისწავლის საგანთა შესასწავლად, მინამ რუსის ბავშვები უკვე

წინ მიდიან სხვა და სხვა საგანთა შესწავლით თავიანთი დედანის საშუალებით. ქართველნი კი რჩებიან უკან, ვისაც შეძლება აქვს, ის თავის შვილს, სახლში გამომცდელს უჭერს და მით ამზადებს მას. სამწუხაროდ, ჩვენ ქართველებს არც ეს შეძლება გვაქვს და ამიტომ ჩამონარჩენები ვართ უკან. ასე და ამ გვარად ჩვენი ძველი დროც დავკარგეთ, სკოლაც, მასში გამეფებული ქართული ენა და მასთან ყოველივე მეცნიერებაც.

ჩვენი უბედური გარემოების, სიმკვდრის და დაჭინების დროს, მაინც, აქა-იქ იყვნენ თითო ოროლა ისეთი პირნიც ქართველთა, რომელნიც საქართველოს მამულისშვილობით ბრწყინავდნენ, ქართველ ტომის საქმეს ნათელის თვალთ უმზერდნენ, ნამეტურ გულ-მტკივნეულობა აქვდათ მიპრობილი ქართველთ ძეთა აღზრდასა და განათლების საქმეზედ. უამისობა ჩვენგან არც შეიძლებოდა, რადგანაც დრო მიდიოდა, საქართველოში კერძოდ და კავკასიაში საზოგადოთ, მცხოვრებთა რიცხვიც თვალს ახელდა, განათლებას ეძლეოდნენ და ქართველნი კი ერთს საფეხურზედ სჩერდებოდნენ. მთელს თფილისის საშუალო სასწავლებლებში ხშირად ერთი ქართველიც არ ათავებდა, უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში ხომ ჭაჭანება არ იყო. თითო ოროლას სემინარიიდან გზავნიდნენ აკადემიაში სასწავლებლად. იმერნი კი ცოტათი სჯობდნენ ქართლ-კახელობას არამც თუ მუშა და გლეხკაცობას, არამედ თავად-აზნაურის შვილებსაც. ქუთაისის გემნაზიაც მრავლად იძლეოდა სწავლა-დამთავრებულთ და მათში გლეხი და მუშა ხალხის შვილებიც ვრივნენ.

ქართველ გლეხთა და მუშათა უსწავლელობის საქმე იყო დიდი ნალველი, გულ-საწვაი და სავალალო შეგნებულთათვის. ასე დაქვეითებულთ ცხოვრება აქვდათ წამხდარი, მათ სჩაგრავდა ყველა, ზეკუცია, მთავრობა, ბატონ-ყმობა, მოხელე და თითქმის ყველა, ვისაც კი ხელში რამე ეკავათ. საქმე

ისე იყო დაღუპული, რომ ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფთა ერთი მოსაზრების ჰოვსილაც აღარ ეძლეოდათ, რომ მათ ეფიქრათ რამე თავიანთის შვილების განათლებისა კი არა თუნდ მარტოდ წერა-კითხვის შესწავლის. მთელს ქართლსა და კახეთში მუშა და გლეხთაგან ვერ ნახავდით ვერც ერთს ნასწავლს ექიმს, ვექილს, ტეხნიკს, ინჟინერს და ვერც სხვა რამ ნასწავლს კაცს. რაც შეეხება ქართველ ქალთა განათლების საქმეს იგიც ცუდს კალაპოტში მოთავსდა.

ქართველ ქალთა ძველი ცოდნა მკაცრად დავარდა, მათ ში მოიხპო ძველებურ-შინაურულად წერა-კითხვის სწავლება და მის მაგიერ ახალს დროში მათში შესაფერად არა წავიღარა წინ. ძველ დედაკაცებმა იცოდნენ ყოველთვის ქართული წერა-კითხვა და ახლებისთვის კი ეს დავარდა და მათ საქმეთ გახდა რუსის სალდათებსა და აფიცრებზედ თვალების ნათება, ეს გახდა მათ ძველების სამაგიერო ჯილდოდ. გლეხთა და მუშათა ოჯახებში, ძრიელ იშვიათად რომ ქალი წიგნის მცოდნე და მკითხველი ყოფილიყოს. 1870 წლამდე ისე დაცვა სწავლის საქმე ამათში რომ ამაზედ უკანასკნელი აღარა იქმნებოდა რა.

რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი ქართველი ერი თავის სამშობლოში მკაცრად ეცემოდა. მათს დაცემულს სამშობლოს ასპარეზზედ სხვა ტომის მებაზე, მენაგვე და ასეთ მუშაკთა შვილებთაგან ბევრმა მიაღწია უმაღლეს სწავლის კარს და ქართველთაგან კი ვერც ერთმა. ვისაც ხალხის ცხოვრებისათვის გული შესტკივოდა, იმისთვის ეს დაფარული არ იყო. ყველა კარგად სჩანდა და ის გარამოებაც რომ მაშინ სასწავლებლები არსებობდა მხოლოდ შეძლებულ კაცთა შვილებისათვის, ხელოსანთა და მუშათათვის კი ეს ერთობ შორს იყო, თუმცა მცირედ თავად-აზნაურებიც მისდევდნენ სწავლის საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ, მათი სწავლის საქმეებში მოქალაქური ვითარება და მისი ტრფიალება სრულიად დამ-

ზობილი იყო. იგინი ჯერეთ არ სწავლობდნენ და თუ ვინმე სწავლობდა, ისიც ან კადეტის კორპუსში და ან კიდევ სხვად ასეთ სასწავლებელში უფრო-კი თოფის და დამბაჩის ხმარების სწავლით მიდიოდნენ წინ. იქნება ზოგ ალაგას ესეც საჭირო იყოს, მაგრამ ამასაც ზომა უნდა აქენდეს და არა წრეს გადასვლა, მთავრობასაც ეს წრეს გადასვლა უნდოდა და თვის ერთგულ გმირების გაჩენა. ასე მიბრძანდებოდნენ ჩვენი დღენი და დრონი, ქართველი ერის გული და სული უმეცრებაში ილეოდა, ყოველივე მოსპობას ეძლეოდა. ამიტომ ჩვენ ჩვენს მოწინავე თავად-აზნაურობას ერთობ ვყვედრით, მათ ზედ გული ერთობ გვტკივა და ვკიცხავთ მათ, ამის მხრივ დიდი დანაშაული მიუძღვით, როგორც ქვეყნის წინაშე, ისევე ქართველების და თვით თავიანთის ოჯახისაც.

ვიტყვით იმასაც, რომ ქართველ ერს, ყოველს დროს, თუნდ ამ სულის დაღვევის დროსაც კი, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ქართველთ შორის, იყვნენ თითო ოროლა ისეთი პირნიც, რომელთაც ჩვენს ტომის საქმეებზედ ფხიზელი შეხედულება აქვდათ, ეს პირნი ჩვენის ქვეყნის და ერის შესახებ დიდის მამულისშვილობით იყვნენ აღვსილნი, ამათი მამულისშვილობა იყო გულს მდულარებით გარემოცული, ამიტომაც მათ განიძრახეს ისეთი ღონისძიების მოძებნა, რითაც დაცემულ ქართველთ უსწავლელთ შვილებს ფეხზედ დადგომა და სწავლება შეეძლებოდათ. სწავლით წარმატება, წინ სვლა, სამოქალაქო ასპარეზზედ გამოსვლა, თვალის გახილება და სხვანი, რითაც კი დღეს ქართველი ერი არსებობს და სუნთქავს.

ამათ განიძრახეს ქართველ შვილებთათვის საკუთარი სკოლის, ანუ გემნაზიის გახსნა, როგორც თფილისს, ისევე სხვა კუთხის ქალაქებშიაც. ამ დიდი საქმის წადილს ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რადგანაც თფილისსა და ქუთაისში ქართველთ თავად-აზნაურთა საადგილ მამულო ბანკებიც დაარს

დნენ, რაც ზემოხსენებულ საქმის განხორციელების თათბირს ხელს უწყობდა დიდათ. ბევრს რამე იმედებს აძლევდა, მომავლისთვის დახმარების მიცემას ცხადათ ასმენდა. ამის უსმენლობა ჩვენგან კი არ შეიძლებოდა, რადგანაც ქართველთ შორის სწავლის საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ქართველთ შვილები რეგენებათ იქმნენ ცნობილნი, უმეცრებათ. ესეთი სახელი ქართველებს საქვეყნოთ მოეფინათ. ასეთის კიცხვით ჩვენ მარტოდ ქალაქ ადგილებში მცხოვრებთ ხელოსანთა და მუშებს ვეხებით, ამათ შეეძლოთ რომ ცნობილის გარემოების წინააღმდეგ ებძოლათ, მაგრამ სამწუხაროდ ესენი ამისთვის არ სცდილობდნენ, არც ერთ მათგანი არ ზრუნავდა შვილების განათლებაზედ, ამასაც რასაკვირველია, თავის მიზეზები აქვს: მთავრობისაგან გამეფებულ უხეირო სწავლის წესები, მეორე უმეცრება და მესამე სილატაკე, რაც ქალაქის ხალხში კარგად იყო გაჩაღებული და ნამეტურ ქართველს მუშებსა და ხელოსნებში.

ჩვენის ტომის უბედურმა დღეებმა იქამდის მიაღწია, იგი იმ ისეთ წერტილამდის ავიდა, რომ 1870 წლებში, თფილისის პირველ კლასიკურ გემნაზიის დირექტორმა, ჟილიხოვსკიმ, საჯაროდ ლექცია წაიკითხა და მთელი ქართველი ტომი მამაკვდავს ერს შეადარა. გარდა ამისა იგიც სთქვა, რომ ქართველთ შვილები უნიჭობებიც არიანო. ამის საფუძველი მაქვს, რადგანაც იგინი სკოლებში იმ სიმრავლით არა სწავლობენ, რომ მათ ნიჭიერი ხალხის სახელო ვაკუთვნოთო. ასეთი უბედულება დირექტორს წინააღმდეგ ცნობებით დაუგვირგვინდა შემდეგ დროს. ამ პირს გარდა სხვებმაც ისაუბრეს ჩვენს შესახებ და სამარის ხალხად გვაღიარეს. ესეც კარგი იყო ჩვენთვის ერთის მხრით.

იგი მთავრობის კაცი იყო და ქართველთ უნიჭობის მიზეზებს იქ კი არ ეპოტინებოდა და ეძებდა, სადაც რიგი იყო, არამედ სხვაგან, სხვა კუთხეთა ბოროტებასა და უკან ვრდომაში ხელდავდა რაც თვით მათივე მთავრობის კაცებთაგან იყო

ქართველთ დასაღუპათ და დასაძინებლად აღმასული, მიტო-
მაც გახლდათ, რომ ამ 30 წლის წინეთ, ქალაქ თფილისის
სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი ძალიან შე-
მცირდა. რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი მოსწავლეთა რი-
ცხვი უფრო და უფრო მცირდებოდა. მცირდებოდა არა მარ-
ტო ერთ ალაგას, არამედ ყველგან, მთელს საქართველოში
ქართველთ შორის. მაშინ ყველასათვის ცხადი შეიქმნა რომ
ქალაქში მცხოვრებნი უფრო ადვილად ახერხებდნენ ყმაწვი-
ლების მიცემას სასწავლებლებში, რადგანაც მათი მდგომარე-
ობა ახალი მოთხოვნილების წყალობით უფრო კეთდებოდა.
ვაჭრობა, ხელოსნობა, სამსახური და ასეთ საქმენი უფრო
მათ უწყობდა ხელს, რომ მათ მიეცათ თავიანთ შვილების
ცხოვრებისთვის ფართო ასპარეზი, წინ წასულიყვნენ სწავ-
ლით, დაწინაურებულიყვნენ ეკონომიურად, შეეძინათ ცხოვ-
რების მძლავრი სახსარი.

ჩვენი ხალხი კი, ესე იგი ქართველობა, რომელნიც მა-
შინ ქალაქს გარდა, მთელის თფილისის გუბერნიის უმეტეს
ნაწილს შეადგენდა მცხოვრებლებისას, უმეტესად იგინი სო-
ფლად და სამაზრო ქალაქებში სცხოვრობდნენ და ამიტომ
სკოლის საქმეების წარმატებით ესენი ვერ სარგაბლობდნენ
ისე, როგორც ქალაქში მცხოვრებთ უცხო ტომის ხალხი,
ამიტომ ქართველნი მათ კონკურენციას ვერ გაუწევდნენ, ეს
შეუძლებელი იყო, რომ ერს თავის ქვეყანაში სწავლის ასპა-
რეზზედ ფეხი წაედგა, უამისობა კი ჩვენის ტომისათვის გა-
ლესილი დანა იქმნებოდა. ქალაქ ადგილებში შვილების მი-
ცემას სწავლისთვის, სჭირდებოდათ დიდი ფული და ეს კი
ძნელი საქმე იყო ქართველის კაცისთვის. ქალაქის მცხოვ-
რებნი კი ასე არ იყვნენ დატვირთულნი შვილების სწავლის
ხარჯისაგან, ამიტომ იგინი უფრო ადვილად ახერხებდნენ
შვილების სასწავლებელში მიცემას, ესენი ამით წინაურდებო-
დნენ, ყველა საქმით წინ გვისწრობდნენ, ქალაქის ეს მცხოვ-
რებნი იყვნენ სხვა ტომისანი და უცხოელები. ჩვენ ძირე-

ულნი კი უკან ვრდომას ვეძლეოდით. დაცემის მიზეზი იმაში იკარგებოდა, რომ ქართველები არ ვიყავით უცხოელებივით გაფხიზლებულნი, ჩვენ რუსებს უდროვოდ და მოუპზადებლად და გაუგებრად ჩაუვარდით ხელში, ამ ჩავარდნისთვის ჩვენ მომზადებულნი სულ არ ვიყავით, ჩვენი საქმე საქართველოს მეფობის დაცემამდე ხმალი, ხანჯალი, თოფი და მტერთან ბრძოლა იყო და სომეხთა კი აღრიდგანვე ანგარიში და ხელობა გაიხადეს საქმედ, ესე იგი ვაჭრობა და ხელოსნობა, ჩვენს ქვეყანაში მათ წადგეს ფეხი წინ. ჩვენის რუსეთთან შეერთებით მათ ისარგებლეს და არა ჩვენ. ვაჭრობა გაიხსნა, მცირე მშვიდობის ჩამოგდებად და რუსის მთავრობის დამყარებამ მათ შემოსა წინსვლის შარავანდედი, ჩვენ კი უკან ვრდომას მივეცენით, რაც ვიყავით ასი წლის წინედ და რის იმედიც გვქონდა რუსეთთან დაკავშირების წყალობით, ჩვენ წინსვლის მაგიერ უკან ვრდომას მივეცენით და სხვები ჩვენს ასეთ გარემოებას არამც თუ მწუხარეს თვალთ უმზერდნენ, არამედ დაგვცინოდნენ, მასხარად გვიღებდნენ და თან ზომებსაც ხმარობდნენ ჩვენს გაწყალებას, გათახსირებას, მამულების და უფლების ხელიდამ ჩამორთმევას და თითქმის დაღუპვას, აღგვას ჩვენის მიწა-მამულიდამ, მერე განა მარტო ესეთი დაღუპვა გლეხებს და ქალაქის მუშებს ადგათ კარს, არა, თვით ქართველ მოწინავე თავადაზნაურთა შვილებსაც კი, ასე და ამ გვარად, ერთის გზით და მრავალ მხროვნათ ვეცემოდით ყველანი ერთად. დაცემის მიზეზი კი ის გახლდათ პირდაპირ, რომ ძველი ძალა და ცოდნა დაგვკარგეთ, მის მაგიერ ახალიც ვერ შევიძინეთ და ბოლოს დავშით ხახა მშრალნი ყველაფერი კი იბადებოდა ჩვენის უსწავლელობის და თვალთ გაუხილებლობისაგან.

III.

ასეთი წყალ-წაღებული მდგომარეობა ქართველის ერი

სა, ასეთი უკან ვრდობა და წინსვლის მაგიერ დაცემა, ქართველთ ერთ საზოგადოების ნაწილმა კარგად იგრძნო და შეიგნო. ვსთქვით, რომ XIX საუკუნის შემდგომ, რუსეთთან დაკავშირების წყალობით ჩვენ ძილსა, ჭამას, სმას და ჭანდრას ხის ქვეშ ქეიფებს გავყევით. ჩვენთვის ამის მეტი სხვა აღარა იყო რა დაშთენილი. ქართველი გახდა მხოლოდ სამწუხარო სურათი წარსულის დიდის სახის მომდევრობისა. მოგახსენებთ იმასაც, რომ ასე დაცემის, გულხელ დაკრეფის და უკუღმართობის დროსაც კი, ჩვენთ შორის, თითო-ორი კეთილ საიმედო ქართველთ რიცხვი არას დროს არ მოსპობილა, იგინი ყოფილან ქართველის ხალხის ბნელის ცხოვრების ლამის ვარსკვლავნი, მათ უღვიძებიათ ეს ერი და უმხნევებიათ წინ სვლისთვის, განათლების, გამხნევების და გაღვიძებისთვის, ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ თქვენ მტერს რაც ჩვენ მოგვივიდოდა, საქართველოში ჩვენც ისე აღვიგებოდით, როგორც აღიგავნენ ერთ დროს მრავალ გამოჩენილ ბაგრატიონების გვარის ქართველთა გმირნი საქართველოს მიწა მამულიდამ. მადლობა გარემოებას, რომ ეს ასე არ მოხდა და ჩვენს გათახსირების და დაღუპვის დროს, თითო-ორი პატიოსანი გვამნიც გვახლდნენ გარს, ეს იყო ჩვენი ერთადერთი სასოება და იმედი.

ამიტომაც ასეთ პირთა მომდევართა უკეთეს გვამთა, ამ 30 წლის წინეთ, მოიჭრიბეს თავი და მოისაზრეს რომ დაეარსებინათ თფილისში სასწავლებელი ქართველი ბავშვებისათვის, უფრო სოფლის მცხოვრებთათვის ორის ჰაზრითა. პირველი: სასწავლებლის დაბალი კლასები მოწყობილიყო ქართულს ენაზედ და ქართული ენის შემწეობით უკეთესად შეესწავლათ რუსული ენა, უკეთესად გაეწიათ კონკურენცია ქალაქში მცხოვრებლების ბავშვებთან სკოლაში შესასვლელს ასპარეზზედ.

მეორე: რომ ქართველებს ჰქონოდათ თავიანთი სასწავ-

ლებელი ჯერ-ჯერობით მოსამზადებელის ხასიათით და მერე გარდაქცეულიყოს სრულ საშუალო სასწავლებლად. ეს ორი განძრახვა ქართველის საზოგადოების აღსრულებაშია მოყვანილი, ეხლა თავად-აზნაურთა სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელს სრულს კლასიკურს გემნაზიას, აქვს უფლება თავის მერვე კლასის მოწაფეებს დააჭერინოს ეგზემენიები მომწიფების ატესტატის მისაღებად, ამავე დროს, შინაური საქმეები მოაწყოს ისე როგორც მოიფიქრებენ საზოგადოების გამგე კომიტეტის და პედაგოგიური საბჭოს წევრნი.

ეს დიდებული საქმეა ჩვენისთანა ხალხის ცხოვრებაში, აქედამ ცხადია, რომ მალალ მნიშვნელობა სკოლისა აფიქრებინა გამგე კომიტეტს რათა შესდგომოდა ღონის ძიების გამოძებნას და მიეღოთ ყოველ ნაირი ცდა, განუსაზღვრელი შრომა და სკოლის დასამკვიდრებლად სადმე შეიძინათ ადგილი და მასზედ აეშენებინათ შესაფერი სკოლის შენობა და სხვანი. მაგრამ ამას საზოგადოება როგორ მოახერხებდა, როცა ჯერედ ქართველთ თვით სკოლა და შინა უფლება არ აქვდათ ხელში, რომ თავიანთ ნებით გაეხსნათ სკოლა და ეწარმოებინათ ქართველ შვილების განათლების საქმე. დიახ, ამისთვის იწყეს შრომა და 1870 წ. მთავრობას დაუწყეს თხოვნა საქართველოში „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ დაარსების და ქართველ საზოგადოებისაგან საკუთარი სკოლის, ანუ მომავლის პროგნოზის გახსნისა. ბევრის ცდისა და თხოვნების შემდეგ მთავრობამ შეიწყნარა ქართველთ თხოვნა და დიდის ექვით მაინც ორივე მოთხოვნა შეასრულა. ნება დართო ქართველებს რომ წერა-კითხვის სამართველო და სკოლა დაეარსებინათ. ეს ასეც მოხდა და ქართველმა საზოგადოებამ დაარსა ერთი ცა და მეორეც.

სკოლის დაარსების შემდეგ, გავიდა რამდენიმე ხანი, სკოლის გამგე კომიტეტი კარგად დარწმუნდა მასზედ, რომ სკო-

ლისთვის დიდს საქიროებას შეადგენდა საკუთარი შენობის ქონვა. ამას ყველა კარგად გრძნობდა, რადგანაც სკოლა ხან ერთ ალაგას აქვდათ მოთავსებული და ხან მეორე ალაგას. ამიტომ კომიტეტი შეუდგა თავის განძრახვის განხორციელებას. საქმის განხორციელება იქმნებოდა სკოლის შენობისთვის უპირველესად ადგილის შეძენა კარგს მხარეს, როგორც დასაწყისიდან ამ საქმეების შესახებ ამაგდარ მუშაკად ითვლებოდა ნიკოლოზ ზებედის ძე ცხვედაძე, ამან ამ დროსაც გამოიჩინა შესაფერი შორს მხედველობა და ვერისკენ, ვარაზის ხევის ახლოს, სკოლის შენობისათვის იყიდა 14,400 საფენი ადგილი. ეს საქმე ადგილი საქმე არ იყო მაგრამ ნ. ცხვედაძემ ისე მოახერხა რომ ადგილის სყიდვის საქმე ბევრს არავის გააგებინა, თორემ საქმე ჩაიშლებოდა, ქართველების არეულ-დაჩეული თავის ამბავი ვგონებთ ყველამ ვიცით, მასასადამე საქმის არევაზედაც ეჭვი არ უნდა გვქონოდა: ეს მაინც შემდეგ ისე მოხდა როცა ზოგიერთებმა შეიტყეს, რომ ნ. ცხვედაძეს სკოლისთვის შენობის ადგილი ვერაზედ უყიდნიაო.

ჰკიცხავდნენ მრავალნი ყვედრებით: ვერის მელებისა და ტურებისთვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენახშირე და მეშეშეებისაკენ უნდა გარეკოსო. ამჟებ ბევრ ნაირს მასხარობას, დაცინვას და საყვედურებს ასმენდნენ მყიდველს, მეორე სიძვირესაც სწამებდნენ. დაწუნებას, კიცხვას და ადგილის უხეირობას სპზღვარი არ აქვდა. ქართველები ასეთი წუნია პატარძლები ვახლავართ, თუ არა გვაქვს, მაშინ ვწუწუნებთ და თუ გვაქვს რამე, მაშინ ვიწუნებთ. მაინც ქეშმარიტმა გულმა თავისი სიმართლის გზაკვალი მალე მოიპოვა, აღნიშნულ სკოლის ადგილის მხარეს მიაწყდა მრავალი მსურველი ადგილების მსყიდველთა, ამათ გარდა აქეთვე იყიდეს აუარებელი ადგილები სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სკოლების საკუთარ შე-

ნობის აღსაშენებლად, ასე და ამ გვარად მთელი ეს ვრცელი კუთხე შესყიდულ იქმნა სხვა და სხვა პირებისაგან ბევრად უფრო ძვირად, ათჯერ მეტ ფასად, ვინემც ნ. ცხველაძისაგან შესყიდული.

ამის ნაყიდი იყო საყენი 2 მ. და ამ აღგილიდამ ბევრად უფრო შორს, ქალაქის იქით, საყენი 15—20—30 მ; კი გაიყიდა. ნ. ცხველაძის ასეთ საქმეთა წინაშე ამაგის დადებამ არას ვიტყვით. ამას თვით საქმე დასაბუთებს და ჩვენ თუ აღრე ვკიცხავდით და დავცინოდით ამ ალაგის სყიდვის გამო, ეხლა მაღლობას ვუძღვნით. აღგილის შექმნის შემდეგ, საქმედ უნდა გამხდარიყოს შენობის დაწყების თავდარიგი, ამის სამზადისსაც მალე შეუდგნენ და შემოხსენებულებივე ნ, ცხველაძის თავოსნობით იმართებოდა სხვა და სხვა სხდომები, კრებები და აქ სჯიდნენ და არკვევდნენ შენობის გეგმის შედგენას, შემდეგ ამის გასინჯვ-გაჩხრეკას და ბოლოს შენობის აღგებას. ამის შესახებ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობაშიც მთელი რიგი კრებები ხდებოდა, აქაც ყოველ სხდომის დროს სკოლის შენობის დაწყების თხოვნით და თანხმობით თავდებოდა ბანკი ამაში იღებდა მონაწილეობას. ამისთვის დიდი ამაგი მიუძღვისთ ილია ქავჭავაძეს, დიმიტრიანს, ნ. ცხველაძეს, იო გოგებაშვილს და სხვათაც. ყველას არ მოვსთვლით აქ.

ეს დიდებული საქმე მარტოდ გამგე კომიტეტის წევრთა გულ-მოწყალებით არ თავდებოდა. ამათ გარდა ამ საქმეში, ყველა შეგნებული ქარხველი თუ არა შოგის ერთნი მაინც იღებდნენ მონაწილეობას. ასეთ საქმის დაწყების მცნობთ შორის, იყვნენ ზოგნი ისეთნიც რომელთაც გული პატრიოსანის მამულის შვილობით უცემდათ, ამათის ცდხთხედროელ ბევრმა გაუწვდინეს ხელი ამ დიდებულ საქმეს, დიდმა, თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა, მდიდარმა თუ ღარიბმა და ყველას თავის შეძლების და გვარად შემოჰქონდა თვისი მხვედრი ამ საშვი-

ლიწვილო საქმის აღსაშენებლად. ასეთ დიდებულთ საქმის აღშენების საქმეში სახელოვანი ადგილი უკავიათ ძმათა ზუბალაშვილებს, რომელთაც შესწირეს 86 ათასი მანათი. ესენი არიან განსვენებული სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი და მისი ძმები ლევანი. პეტრე და იაკობი.

დავით ზაქარაის ძე სარაჯიშვილმა, ცნობილმა პირმა მთელს ქართველობაში, დიდათ მოყვარემ თავის ქვეყნის და ერის საქმეებისა.

ასჯან გიორგის ძე მდივანმა, რომელსაც თუმცა ჩვენ პირადად არ ვიცნობთ, ხოლო ის კი ვიცით, რომ იგი დიდი პატივის მცემელი ყოფილა სამამეულო ძეთა განვითარებისა.

გიორგი სვიმანის ძე განძიეღმა, რომელიც უღვთოდ იქმნა სამეურნეო ბანკის თავდასხმის დროს მოკლული 1905 წ.

ივანე ბესარიანის ძე საგინაშვილმა, კაცმა დიდათ პატივის მცემელმა თავის თანამემამულეთა შვილების განათლებისათვის. ერთმა თავადიშვილმა 46 მ. შესწირა.

ამათ გარდა სხვათაც ბევრმა შესწირა თავის შეძლების და გვარად, ყველას მოხსენება აქ არ არის საჭირო, იგი ნიამაზედ არც დაგვემდურებიან, ვინაიდან მათი პატიოსანი შესაწირვის მნიშვნელობა თავის გზას არ ჰკარგავს, იგი ხმარდება ჩინებულ შთენს, ისეთს შთენს, რომელსაც ზემოხსენებული შემწირავნი ყოველთვის თავისუფლად ნახვენ და მით დასტკბებიან კიდევ, მათმა ჩინებულმა შენაწირავმა თავის კანონიერი გზა მიიღო და იგი უკვდავ სამთლად დაშთა მათ თანამემამულეთა ძეთა წინაშე, თუმცა შემწირველთა რიცხვი ყველა ქართველთ წრიდამ იყო, ხოლო ვიტყვით იმასაც, რომ იგი არც ისე უხვად გახლდათ, ისევ და ისევ ჩვენებურად, ქართულად. თორემ ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ სკოლა დღეს დამთავრებული იქმნებოდა. მაინც რაც იყო და ვინც რა შესწირა, უვქველია ამ დიდებულთ საქმის სასარგებლოდ, ისტორია არ დაივიწყებს მათ სახელებს და ცნო-

ბებს, მინამდის ქართველ ტომის წინაშე ამ შენობის კედლები მკვიდრად დაშთებთან ქვეყნად, მინამ ამათი სახელებიც წარწერილი იქნება ამ ტაძრის კედლებზედ და დაუფიწყარი.

სხვა ტომთა წინაშე, შეიძლება ასეთ სკოლის შენების საქმეს დიდი მნიშვნელობა არ ექმნეს, ჩვენთვის კი მას დიდი საშვილიშვილო მნიშვნელობა აქვს. ქართველი ერისთვის იგი დიდი სახმარია, დიდი კერა განათლებისა, დიდი ტაძარი ქართველ ტომის თვალის გახილებისა. ამიტომ ჩვენ ქართველებს, ჩვენის დაზღაზნილის ცხოვრებით, დიდი იმედი და სიხარული უნდა გვაქმნდეს, რადგანაც ამ სკოლის შენების და შეწირვის საშუალებით, ჩვენ ვისწავლით საზოგადო საქმეთა შემწირველობის მნიშვნელობას, რაც დღემდე იგი ქართველთ წინაშე ერთობ იშვიათი იყო.

ამ გარემოებას ქართველებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ, ისწავლონ საზოგადო საქმეთა პატივისცემა, შემწირველობა და სხვანი. რაც კი აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩვენის ტომის განახლების ისტორიისთვის.

იშრომონ და იმეცადინონ რომ ამ დიდებულს შენობას, ამ ქართველთ ძეთა გონების ტაძარს, მრავლხდ და ხშირად შესწრონ ფული, ფულს გარდა მამულები და ნივთებიც, ვისაც რა ექმნება და გაემეტება.

ასევე უნდა იმეცადინოს ყოველმა ქართველმა, რომ მან თავის სიცოცხლეში ამ სკოლას და ქართველთ შვილების განათლებას რამით არგოს, თუ სიცოცხლით არა, მაშინ სიკვდილ შემდეგ მაინც დასტოვოს რამე ამის სასარგებლოდ, რათა მით ღარიბ ქართველთ შილებმა მიიღონ განათლება. დავარწმუნებთ ჩვენს თანამემამულეთ, რომ ამაზედ ძვირფასი მათთვის სხვა არა იქმნება რა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველთ შრომა და ამაგი ამაო იქმნება, ყოველი კაცი სიცოცხლით, თუ სიკვდილით მარგებელი უნდა იყოს თავის ერის და შეუძლო ხალხთა შვი-

ლების ფანჯითარებისა. სხვა აბა რა საშუალებით და გზით უნდა დაწინაურდეს ჩვენი ერი თუ არ ასეთის დახმარებით,

IV

სკოლის შენობის კეთება დაიწყო 1900 წლიდან და დღემდეც კეთდება. შენობა არის უზარ-მაზარი, დიდი, ფართო, კარგს, სუფთა ალაგას, წინ ვარაზის ხევი უძვეს, მეორე კუთხისკენ ვერის ხევი, დასავლით და სამხრით სოფ. ლისის, წყნეთის და ვერის მიწები. წყნეთის მხრიდან უხვად სცემს მანგლისის, კოჯრის და ბეთანიის ნიავს, ჰაერი არის მშვენიერი, თფილისში თითქმის პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ამ კუთხეს ჰაერის მხრით, აქვე ახლოს ლისის ტბაც არის. სკოლის წინ, ეზოს განაპირა, ვარაზის და ვერის ხეობის ფერდობებზედ ვაზის ვენახიც არის გაშენებული. ეზოც ფართო აქვს და თავის შესაფერი, ეს უზარ-მაზარი დიდი სახლი ოთხ სართულიანი არის, სადაც მოთავსებულია გემნასტიკური დარბაზი და ასოციაცი კარგა მოზრდილი ოთახები. მშვენიერი შესანიშნავი დარბაზი, ერთი საგემნასტიკო, ერთი საკრებულო, ერთი სამუზეო, ერთი სამკითხველო, რომელიც იქნება განსვენებულის სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სახელობაზედ. ერთი სიტყვით რაც კი აწინდელ თანამედროვე მეცნიერთ არხიტექტურა და პედაგოგიური მოთხოვნები მოითხოვს, ყველა ეს მიღებულია სახეში და მოყვანილია აღსრულებაში.

ამ უზარ-მაზარ შენობის გარდა, როგორც ჩვენ პროექტი ვნახეთ, სხვა და სხვა შენობაც იქნება კიდევ სკოლის არე-მარეში. ვენახი უკვე გაშენებულია. თფილისში ეს შენობა არის ერთად ერთი შესამჩნევი შენობა. ჩვენც ქართველებს შეგვეძლება ვსთქვათ მტკიცედ, რომ ჩვენს უძველეს სატახტო ქალაქ თფილისში გვაქვს მტკიცე, მაგარი ციხე გონებისა და ზნე-ხასიათის გასაუკეთესებლად. ქვეშაირიტად რომ

ეს ასე იქმნება და ქართველ ხალხის ცხოვრებაში, მეტად დიდებული მნიშვნელობა დაეთმოა ამ სკოლის გაკეთების და ჯოწყობის საქმეს, დიდებულ საქმედ ჩვენ იმიტომ ვასახელებთ ამას, რადგანაც ეს სკოლა და შენობა თითქმის ისეთ დროს შეიქმნა და დაგვირგვინდა ქართველთა წინაშე, როცა ჩვენ აღარაფრის ძალა გვქონდა, აღარა გაგვაჩნდა რა, არც სკოლა, არც მისი არსებობის საჭიროების შეგნება, ამას გარდა დამხობილი იყო ენის ძალა, მისი პატივისცემა, მასთან ქართული საყდარიც მკვდარი გვაქვდა, ხელიდამ ჩამოცლილი, ვინც კი ჩვენი ისტორია იცის 1800—1860 წლამდე, იმას ის კარგად ეცოდინება თუ ქართველი ტრი რა დღეში მოთავსდა, რა გარემოებაში ჩავარდა, რა შავი ძალები შაჰ მოეხვია გარს, ამას მოკლედ კიდევ ავსუსხავთ.

1804—1860 წლის ქართველთა ცხოვრების სურათი ეს გახლავსთ: საქართველო რუსეთს ჩაბარდა, ქართველებში გამეფდა ახალი მთავრობა და რუსული ენა—ქართველთა შორის, მრავლად გაჩნდნენ გარუსების მონატრენი—ქართველობას მკაცრად დაუწყეს გმობა, ათვალწუნება, თავად-აზნაურობამ დაკარგა ძველი სიპამაცე, ქვეყნის ორგულობას მიეცა, ფლანგვას, მამულების დავას, ყმების დევნას. მოკლედ დროის განმავლობაში ქართველთა ოჯახი დაეცა მკაცრად იგი მო ყოველივე ქართველთა, დაემხო ბევრი რამ ამ ერისა და ამ დამხობის მნატვრელთაგანი და მის გამომხატველი თვით ქართველებშივე გაჩნდნენ. დიდისაგან, ანუ მძლავრისაგან უძლურის შექმა ბუნების კანონიერს მოვლენად აღიარეს, ქართველთაგან ქართველობის დავიწყება და გარუსებაც საჭირო მოვლენად დაინახეს. „რის ქართველობა რა ქართველობა, ვითომ რას გვავენებს უცხო ტომობა“, ეს სიტყვები ნამდვილი სურათია იმ დროის ქართველობის. 1804 წლიდან ქართველთა გულზედ ხელები დაიკრიფეს და მთლად მკვდარს არსებობას შევადგენდით ჩვენ შორის აღარც თვით ცნობიერება იდგავ-

და ფეხს, არც წიგნების ბეჭდვა, გაზეთების გამოცემა, სკოლების დახსნა და ბევრიც სხვა ასეთნი, ყოველივე მოისპო, ამოვარდა და ისე მძლავრად გაიქელა, რომ მისი ზომის ანუ-სხვაში გამოიხატება მხოლოდ მთელის ქართველის გვარის მოსპობის ქადილი, ანუ მთელი ნაციის მოსპობა, სიკვდილი. მაღალი წოდების უმეტესობა ამ გზასა და კვალს დაადგა, მათში ყველაფერი გვაროვნული იგმობოდა და იგმობოდა ისე, რომ მასზედ უცხარესი სხვა აღარა შეიძლებოდა რა, ამიტომ მთელი ქართველი ერის სანატრ საგნათაც მხოლოდ გარუსება და გადაგვარება გახდა საქმეთ და საგნად.

ასე მირობდენ ღღენი და თვენი და ამ გარემოების წინააღმდეგ არავინ ჩნდებოდა რმ მაღალს წრიდამა და რიცხვიდამ, ვისაც ხელში მამულისშვილობის ფარხმალი ეკავათ, ისევ სხვა წრიდამ გამოვიდნენ ქართველთ ცნობილ სენის მოწინააღმდეგენი, უფრო მდაბიო და სულ უცნობ ძალისაგან წარმოიშობა ისეთ შესმენილთ ძალა, რომელიც წინააღმდეგ წავიდა ცნობილი სენის და დაიწყო მძლავრად მოქმედება. ამით იწყება ჩვენი გაღვიძების ხანა, ჩვენი წინსვლა და ყელა ამის გვირგვინად ისახება ახალი ძალა ქართველთა, ახალი მოვლენა 1860 წლებისა. ამის მეთაურნი არიან შემდეგნი გვამნი და მათივე თანამედროვე და თანაზიარნი: ნიკოლოზ ზებედისძე ცხვედაძე. ამ მოღვაწის ბიოგრაფია მრავალ ფეროვანი და მრავალ მხროვანია. მან ჰმუშაკა თავის ქვეყნის ასპარეზედ ადამიანურად და მამულისშვილურად. მან შეასრულა თავისი მხვედრი ვალი და თავის საკმელი შეიტანა თანამემამულეთა ძეთა განათლების ასპარეზზედ საკმევლად. ვინატრებთ და ვისურვებთ, ქართველთ შორის, მისებურ მხნე განათლებულ მუშაკთ გაჩენა-გამრავლებას. ჩვენს უბედურს დროში, მას ამ დიდებული საქმის კეთების დროს, არც მკაცრი მკიცხველი დაჰკლებია თვით ქართველთაგან, მაგრამ მას მაინც ამის გამო წარბიც არ შეუხრია. ვიტყვიტ რომ ნ. ცხვედაძის შრო-

შის ისტორია არა მარტო ამ სკოლის ისტორიაში იქმნება მოათავსებული, არამედ XIX საუკუნის ქართველ ტომის გაღვიძების, განათლების და მწერლობის ისტორიაშიც კი, თუ კი ეს ოდესმე დაიწერება.

როცა სკოლის შენების გეგმა დამტკიცდა და საქმე აშენების დაწყებით გათავდა, მაშინ გამოითქვა ეს ჰაზრიც:

კერძოდ საქართველოში და მასთან მთელს კავკასიაში, ქართველ ტომის შესახებ გავრცელდა ისეთი ჰაზრები, რომ ვითომც ქართველ ტომს ძველადგანვე ხელოსნობის და მის ავ-კარგიანობის გაგებისა სულ არაფერი სცოდნიათ. ვითომც რაც კი რამ დიდებული ნაშთებია საქართველოში ძველად გაკეთებულები და დღემდე დაშთენილნი, რომ ყველა იგინი სხვა ტომის ხალხთა ხელოსნებთაგან არის ნაკეთები. ვითომც ქართველებმა მარტოდ სოროების თხრა იცოდნენ და სხვა ამის მეტი არაფერი, ასეთ კიცხვა-გმობას ჩვენის ტომის შესახებ თვით მწერლობითაც მოვისმენდით. ამიტომ ამშენებელ კომიტეტის მეთაურთაგან გამოთქმული იქმნა ის ჰაზრი, რომ ამ შენობაზედ ჩვენ მარტოდ ქართველი ხელოსნები უნდა ვამუშაოთო, მათის ხელით უნდა გავაკეთოთ, ვეცადოთ რომ ამ ზერხით დავარღვიოთ ის ცნობები, რომ ვითომც ქართველები უნიჭოები არიან და არაფრის მკეთებელნიო. დიახ, ეს ასე დაასკვნეს და ასეც შეასრულეს, მთელი შენობა, ზოგიერთი რამ საქმეთა გარდა, მთლად ქართველი ტომის მუშათა და ხელოსანთაგან გაკეთდა, რომელსაც მეთაურობდა ჩვენში კარგად ცნობილი ხუროთ-მოძღვარი სიმონ კლდრავილი. კაცი თავის დროის კვალად გულ-შემატკივარი და მცოდნე თავის საქმეთა. ამ პირსაც კარგი ამაგი მიუძღვის ამ დიდებულს საქმეზედ და მასთან სკოლის შენების ზედამხედველს დიმიტრი დუმბაძეს, ვიტყვათ იმასაც, რომ შენების დროს, ზოგიერთ მუშაკთა და ხელოსანთაც არ მოუკლიათ თავიანთი ზომიერი შრომა ამ დიდებულს საქმის აღსამართავად და ყველას შეუ-

ტანია თავის შრომის ნაწილი ამ საშვილიშვილო დიდების აღსაშენებლად. თუმცა ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ქართველ ხელოსანთაგან ხშირად მტრობა და ქიშპობაც ექმნა განცხადებული, რაც რასაკვირველია ყოველივე მათის შეუგნებლობით ხდებოდა და არა რამე კარგის მოსაზრებით. ჩვენ ამით ვსდუმებთ და ვიტყვით, რომ დიდებულ საქმეს, მომავალში ისტორია დიდებულათვე აღემატება და მას მრავალნი არ მოაკლებენ თავიანთ შეძლების და გვარად შესაფერს დაფასებას.

V

ჩვენი სკოლის აღშენების ისტორიას სახელად დიდებული საქმე* ვუწოდეთ. ამ სახელწოდების მიცემის დროს, ჩვენ აი რა საქმით და საგნით ვხელმძღვანელობდით:

საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, თფილისში, ქართველთ მუშა და ხელოსანთა რიცხვი ერთობ დაეცა, წინსვლის მაგიერ, მათ უკან იწყეს ვრდომა, მათ ამხობდა ჯერეთ ბატონ-ყმობა, მერე მთავრობა, მისი უსამართლო მოხელეთა მახვილი, მესამე რუსული ენის უცოდინრობა და მეოთხე გაუნათლებლობა. მთელმა საუკუნემ ისე იწყო განსვლა, რომ ქართველთ მუშა და ხელოსნის შვილთაგანმა ვერც ერთმა ვერ მიაღწია საშუალო სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის ხომ კარიც არ უნახავთ ამათ. ერთის სიტყვით, მთელი თფილისის ქართველთ მუშა-ხელოსანთა და თვით ვაჭრებთ შორისაც ვერ ჰპოვებდით ერთს განათლებულს კაცს. ეს გარემოება დიდათ აწუხებდა ქართველთ შესმენილ ძალას. თფილისში, სხვა ტომის შვილებთაგან და ისიც მუშა და ხელოსნებთაგან კი აუარებლად იწყეს სკოლის ასპარეზედ გამოსვლა, თვით მენაგვის შვილებმაც, მათგან ბევრმა მიაღწია უმაღლეს სწავლის კარამდისაც და ბევრ მათგანმა მომავალში თფილისში დაიკავა დიდი ადგილი, ხელთ იგდო იათ-ფათ

სად აუარებელი მამულები და სხვანი. სადღეისოდ ამ ტომის ძეთა განათლებულთ შვილები ერთი ათად გაიშალნენ წელიში, გამრავლდნენ და ისე წავიდნენ წინ, რომ უკანასკნეო მათმა რიცხვმა თფილისში დაჰფარა არამც თუ მარტოდ გლებთა და ხელოსანთა შვილები, არამედ თვით ქართველთ მოწინავე თავად-აზნაურებიც.

ყველა ამ საქმეებთან ჩვენი ერთი უბედურება ისიც გახლდათ, რომ ვისაც შეძლება აქვნდა, სწორედ მისი შვილი ისწავლიდა სკოლაში, ვისაც ეს არ აქვნდა იმისთვის არც სწავლის კარი იყო ღია და იგინი შთებოდნენ გაუნათლებლად. სწავლა ფულით იყო ყველგან და თფილისის ქართველ მუშა და ხელოსნობა კი ისე იყო დაცემული ეკონომიურად, რომ მათ ცხოვრებაში ფული არსად იყო. მას ამის სახსარი არ აქვნა და იმიტომ არც სწავლა-განათლება გახლდათ მათის შვილებისთვის. დაცემაც შეიძლება და დაცემაცა, მაგრამ ისე დაცემა კი როგორც თფილისის და მასთან მთელი საქართველოს მუშა და ხელოსანი იყო დაცემული სწავლა-განათლების მხრივ, ეს კი მეტის მეტი იყო და შეუდარებელი სხვა ტომის მუშა ხელოსნის შვილებთან. ქართველთ მუშა და ხელოსნის შვილთა უსწავლევლობას ერთის მხრით ერთობ აფართოებდა და აზვიადებდა რუსული ენის არ ცოდნაც, მუშათა და ხელოსანთა შვილებმა რუსული ენის არაფერი იცოდნენ და სკოლებში კი ეს ენა იყო გამეფებული. მუშათა და ხელოსანთა შვილების ერთს უმთავრეს დამაბრკოლებელ ძალას ეს შეადგენდა.

მუშასა და ხელოსანს რომ თუნდ სკოდნიყო სწავლის მნიშვნელობა და მათ სურვილიც ჰქონიყოს სწავლის მიცემისთვის შვილებისა, იგინი აბა მაინც რას გააწყობდნენ სილატკეს და უპატრონობისაგან, მათ თავიანთის შვილისათვის სკოლის გარეშე ცალკე მასწავლებელიც უნდა ჰყოლიყოს რუსული ენისთვის დაკავებული და შვილი ემზადებინა ისე, რომ მერე ამას შე-

სძლებოდა კლასიკურ გენაზიაში შესვლა ან სხვა რომელიმე სა-
შუალო სკოლაში, ეს კი მათში შეუძლებელი იყო, რადგანაც მუ-
შათა და ხელოსანთა შორის შეძლებულთა რიცხვი ისე მცო-
რე იყო თფილისში, რომ მათში ერთი ისეთი ოჯახიც კი
არ მოიპოვებოდა რომ მას შეძლება ჰქონიყო იმდენად, რომ
მათ შესძლებოდათ შვილის რიგიანად მომზადება და რომელი-
მე საშუალო სასწავლებელში მიბარება. მუშათა და ხელო-
სანთა ასეთ ვრდომილებას და უბედურებას ხშირად ქართულს
მწერლობაშიაც ეხებოდნენ და მწუხარების გამოთქმით ასურა-
თებდნენ, როგორც ლექსით, ისევე მოთხრობით და პროზით.
ასეთი მდგომარეობა ქართველ მუშათა და ხელოსანთა და მა-
თის შვილებისა იყო მიზეზები იმ გარემოებისაგან, რომ მათში
ამოვარდნილი იყო საქართველოს ისტორიის ცოდნის მიმზი-
დველობაც. ქართული ისტორია მათში წარმოდგენათაც არ
იყო, სამწუხაროდ არც ისტორია გვაქვდა რიგიანად დაწერი-
ლი. მაგრამ რაც იყო და რაც გვაქვდა მისი მსურველიც
ცოტა იყო, ყველგან შეუგნებლობა სუფევდა, გულ-გრილობა
და მრავალნაირი უბედურება, რაც ქართველთ წარჩინებულ
მწერლებს დიდათ ადარდებდა, თვით ქართულ ჟუნალ გაზე-
თების ხელის მომწერთა რიცხვიც 200 ც. ზეით არ ავიდო-
და. სულ ეს მიზეზები და მდგომარეობა გახლდათ, რომ ჩვენ
საბატო ძველი მწერლები აღრიდგანვე მიეცნენ სა-
ქართველოზედ გლოვნას, მწუხარებას და გოდებას, რომელთა
ნაწერებიც კაცის, ანუ მკითხველის გულში ყოველთვის ჰმა-
რავდნენ გრძნობებს ეროვნებისას, ერთობა დარღვეულს და
დიდად დამდაბლებულ ერის შესახებ სამგლოვიარო მღელვა-
რებას. ჩვენ, ქართველები, ერთის დროებისა, თითქმის სულ
ამ სამგლოვიარო ნაწერებით ვართ აღზრდილები, ეს ნაწერე-
ბი და მის ღრმა კრემლები რომ არ ყოფილიყოს ჩვენს გულ-
ში ჩაწვეთებული, უამისოდ, ვინ იცის, დღესაც ისევე დაძი-
ნებულები ვყოფილიყავით, როგორაც ეს 1804 წლის შემდეგ
ღროის ქართველნი 1860 წლამდე.

ასეთ გლოვნა და ტირილში გაგვიხილა თვალები, მან გადაგვახედა ჩვენს წარსულში, ჩვენს ასტორიაში, ჩვენს დარღვეულ ერთობაში და მანვე აიყოლია შემდეგ დროის ის მუშა და ხელოსანთა შვილებიც. რომელზედაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ. თუმცა ეს ასე იყო. მაგრამ იგი თვით ცნობიერების სამგლოვიარო მიმართვა მაინც უმცირეს ნაწილში იდგავდა. ფეხს, უმეტეს ნაწილის რიცხვს ვერ ხვდებოდა. მისი მგლოვიარე ძალის სხივები, უმრავლესი ნაწილი ასეთის ცნობიერებისათვის შორს იყო, მათ ერთი უმეცრება და უგრძობლობა აჩერებდა ისე და მეორე მთავრობის გამარუსებელი და გამათახსირებელი ძალები. ამ ორივე მხარეზე დროებით გაიმარჯვა ჩვენს მუშების და ხელოსნების რიცხვზედ, სადღეისოდ მათგან წარმოიშობა რიცხვი იმ შეუგნებელ და ვითომც და კოსმოპოლიტურ მუშა და ხელოსნების, რომელნიც თვის ტერიტორიას, მის ავტონომიას, ეროვნებას და ისტორიას წარსულით სრულიად უარს ჰყოფენ ასეთის პირების გაჩენით ჩვენს მტრებსაც შეუსრულებათ თვისი გულის წადილი, რასაც ისინი ჩვენთვის ნატრობდნენ, იმას დღეს, თვით ქართველ ხელოსნებთა და მუშებთა ერთი ნაწილი თამამად ასრულებს. ჯაან ბიჭო. ამათ ჩვენის ყველაფერი უარს ჰყვეს და კაუცკისგან ვითომც და გატაცებულთ ჩვენი ისტორია თვით მეცნიერების კლასიფიკაციიდანაც კი განდევნეს. უნდა ითქვას მოკლედ, და სისწორით, რომ მუშა და ხელოსანთა შორის არიან ისეთი პირნიც, რომელთაც ასეთ მიმართულებას კრიტიკის თვალთ უმზერენ, განვითარებას აღელოვებაზედ მალა აყენებენ. სამწუხაროდ ასეთ პირთა რიცხვი კი ჯერჯერობათ მათში ერთობ მცირეა. დავსძენთ იმასაც, რომ რასაც დღემდე ჩვენ მუშათა და ხელოსანთა შორის რამე გულგრილობა სჩნდებოდა გადაგვარების არად ჩავდებთ, იგი მათ არ ედებოდ ბრალად, მის მიზეზები სხვები გახლავან, რომელთაც უფრო მეტი უნა და გავლენა აქვდათ მათზედ.

იმედი კი არის, რომ დღეის შემდეგ, მათ შორის, ქართული მწერლობა და აქ აღწერილ დიდებულ საქმის არსებობა კი მათში ძირიან ფესვიანად ამოაგდებს უმეცრულ უარს. საყოფველს მიდრეკილებას, მათს გულში შეიტანს ნაციონალურის იდეებით გამსჭვალულს რიალურს გრძნობებს, იგი შეაყვარებს თავის თავს რეალურად, ცნობებს თავის წარსულზედ, მის აკარგიანობას და მასთან არც სხვა ტომთა პატივისცემას და თანაგრძნობას მოაკლებს, რაც მომავალში აუცილებლად უნდა აღორძინდეს ქართველთ წინაშე, სწავლა განათლება და სკოლამ უნდა წარმოშობოს დიდებული საქმის დაწყებით დიდებული თავობა. ამას ექვი არ უნდა, ეს უსათუოდ ასე მოხდება, მაშინ ქართველ გლეხთა და მუშახელოსან შვილებთაგანაც დაიბადება კარგი გაგებული ძალა, შესმინილი გუნდი მშრომელთა, რომელნიც მარკსაც მოიხმარებენ, ლასალსაც, კაუცკისაც, სხვასაც ბევრს რამეს შეიძენენ და იმავე დროს თვისის სამშობლოს, მცნებით დარაზმულებით თვის წარსულსა და ისტორიაშიაც გადაიხედავენ, რაც განათლებულ ევროპიელთ შორის წინ არის წასული და აღორძინებული.

ჩვენი სკოლის სახელწოდების გამო ზოგთ ერთნი ამბობდნენ საყვედურით, რომ სკოლას „თავად-აზნაურთა“ სახელი რათ ეწოდებაო და რატომ საერთო სახელი არა აქვსო? ამაზედ ბევრჯერ კიცხვაც მოახდინეს აქაიქ. მიზეზი ამისი ის გახლავსთ, რომ ეს სასწავლებელი ინახება თავად-აზნაურობის ბანკის მონაგები ფულიდამა. მეორე რაცა ამ სასწავლებლის გახსნის ნება-რთვა აიღეს, მაშინ რუსის მთავრობა მთელის ქართველის ერისთვის სასწავლებლის გახსნის ნებას არ მისცემდა. ამ სასწავლებლის გახსნა მისცეს როგორც რომელიმე წოდების კერძო სასწავლებელი, ე. ი. თავად-აზნაურების, იმ კვალად, როგორც ეს რუსეთში არის და იქ რამდენიმე ალაგას რუსეთის თავად-აზ-

ნაერთა გემნაზიებიც არსებობს, სწორედ ამ მხრით და მცნებით მისცეს ქართველებსაც ნებართვა ამ სასწავლებლის გახსნის, მასში მხოლოდ თავად აზნაურის შვილები უნდა მიეღოთ, თუ ასეთი პირობით არა, უამისოდ არც სკოლის გახსნის ნებას მისცემდნენ და არცა რა სხვაფრივ მართვა-გამგეობას.

მეტი გზა არ იყო და ამ გვარ ნებართვის აღების დროსაც, ჰაზრიდამ არ წასვლიათ ის გარემოებაც, რომ თუმცა ნებას ასე გვაძლევენ, მაგრამ მოსწავლეთა შორის, გლახაკთა და მოქალაქე შვილების მიღებასაც არ მოვაკლებთო. ასეც იყო ეს და სკოლის გახსნის პირველ დღიდგანვე გლახთა შვილებსაც უწყეს მრავლად მიღება. ერთ ხნობით ამის წინააღმდეგნი იყვნენ ზოგი ერთ თავად-აზნაურები, ესენი ამბობდნენ: ჩვენს სასწავლებელს ჩვენის ფულით ვინახავთ და აქ გლახის შვილებს რა ხელი აქვსთო. ამაზედ ბევრჯერ უსიამოვნებაც მოხდა, მაგრამ კეთილ მოღვაწე ქართველ მამული-შვილთაგან ასეთ პირებს ყოველთვის ლაგამი ამოსდვიათ პირში, ამათ შეურცხვენიათ ასეთი პირნი და ხმა აღარ ამოუღებინებიათ ნაცვლად გლახთა შვილების არ მიღების სკოლაში, ვინც კი კაი მოწაფე იყო და გლახის შვილი, იმას პირიქით დახმარებასაც აძლევდნენ. დღეს, ამათგან ზოგნი უნივერსიტეტშიაც იგზავნებიან სასწავლებლად. გლახი, თავადი და აზნაური რომელია ჩვენს დროში. ყველა ერთი ენის და ერთი ქვეყნის შვილები ვართ, ყველას ერთად უმეცრების მეტი სხვა არა გვაწუხებს რა. დაიღუპოს და ამოვარდეს იმ პირთა ძალი და ლაქლაქი, ვინც ამას ეწინააღმდეგებიან და ნაცვლად სიყვარულის შფოთებს სთესვენ.

ვიტყვით იმასაც, რომ თავად-აზნაურებზედ უფრო მეტს პროტესტს მთავრობის მოხელე კავკასიის მზრუნველნი აცხადებდნენ, რომ გლახის შვილებს ნუ იღებთ სკოლაში მოწაფეთაო. ეგ პროგრამის წინააღმდეგიაო, სკოლას დავკეტავ-

თო. ამიტომ გლეხის შვ ლებს გარედამ მიმსვლელად იღებდნენ და ისიც ჩუმად. ამ უჯიშო უბედურს ბოროტებას ერთობ დიდი ისტორია აქვს და. ამ ისტორიით კარგად სჩანს მთავრობის ზოგიერთ მოხელეთა ის ბოროტება, რაც კი მათ წინაშე გლეხების შესახებ ტრიალებდა. ასე იყო საქმე დაყენებული და ვიტყვით იმასაც, რომ ამ სასწავლებელში გლეხთა შვილებთა რიცხვი თავის დღეში არ მოსპობილა, დღეს, მოწაფეთა შორის გლეხთა, მუშათა და ხელოსანთა შვილების რიცხვი თითქმის ნახევარს რიცხვს უდრის. ეს ერთობ ბედნიერი გარემოება გახლავსთ ჩვენი შეუძლო მუშა ხალხის შვილთათვის და ამიტომ მუშა და ხელოსანთა საგულისხმოდ მოვიყვანთ პატარა ახსნას გარემობისას, რომ მათ კარგად ექმნესთ წარმოდგენილნი სკოლის არსებობის ვითარება და მნიშვნელობა.

მოვიხსენებდ და სხვაგანაც გვითქვამს, რომ სოფლის მცხოვრებთ თავად-აზნაურებს თფილისში შვილების ჩამოყვანა სწავლისთვის ერთობ უძნელდებათ, პირველი შეუძლებლობით და მეორე რუსული ენის უცოდინრობით და მოუმზადებლობით. გინდ გაჭირება რომ აიტანოს, მაინც ბავშვების რუსული ენის არ ცოდნა უფრო უფერხებს საქმეს, ქართველთ სოფლის ბავშვებს უფრო უძნელდებათ სწავლის საქმე ქალაქ აღაგას, ქალაქის ქართველ ბავშვებს რუსულს ენასთან ყური მაინც აქვთ შეჩვეული და სოფლისა კი ამასაც მოკლებულია. ამას ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ ბევრს სკოლებში ქართველთ ბავშვებს რუსულ ენას პირველ დაწყებითვე აწყობინებენ მუნჯურის მეთოდით და ეს უფრო სტანჯავს მათ გონებას. ერთის სიტყვით, სოფლის შეუძლოთა შვილების სწავლის საქმეს მრავალი ვაი ვაგლახი ელობება წინ. ამ უკუღმართობას ჩვენი საზოგადოების ნაწილიც კარგად გრძნობდა. უკუღმართი სკოლის წესები ბავშვის გონებას პირველის დღიდგანვე ევლინებოდა მტრად და დამღუპავად.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დიდებულ სკოლის გახსნის საქმეს, ერთის მხრით ეს გარემოება იწვევდა უფრო და ის გარემოებაც, რომ ქართველთა უმეტესობა რუსული ენის უცოდინრობის საშუალებით ვერ მიდიოდა სასწავლებელში და თუ მისცემდა ვინმე შვილს სასწავლებელში, იმას თავის შვილისთვის უნდა სახლში დაეჭირა რუსული ენის მასწავლებელი და შინაც ემზადებინა, რასაც უეჭველია მისგან დიდი ხარჯიც მოუნდებოდა; იქმნება ამით იგი გაწყალებულიყო კიდევ. მაგრამ რას იზავდა. ასეთ უბედურებაში იყო მოთავსებული შეუძლო ქართველის ბავშვის მდგომარეობა და ნამეტურ მუშა და ხელოსანთა შვილებისა, რომელთაც შეძლებოდა არა ფითარი ძალა არ აქვდათ. დღეის შემდეგ კი, ამ დიდებულ სკოლის არსებობით, ქალაქ თფილისის ქართველთა მუშა და ხელოსანთა შვილების ერთ ნაწილს გზა ეხსნება სასწავლებელში შესვლის და მერე მის საშუალებით ფეხის გადადგმა საშუალო სასწავლებელში და აქედამ მერე უმაღლეს სასწავლებელშიც წასვლა. ამისთვის მუშა და ხელოსანთა შვილებს აქ არ გაუჭირდებათ საქმე ან რათა: პირველი ამ სკოლაში სწავლა იათია, სხვა გემნაზიებთან შედარებით რვაჯერ ნაკლებ ფასად არის სწავლა, სხვაგან რომ 12 თუმანია სწავლის აქ 40 მანათია წელიწადში. თუმნობით მუშა და ხელოსანი კაცი კი თავის დღეში ვერ გადიხდის სკოლაში და ამიტომ მისი შვილიც დათხოვნილი იქნება უბრალო სკოლებს გარდა საშუალო და უმაღლეს სკოლებიდანაც.

ჩვენი დიდებულ სკოლა კი უაღრესად გვარ უფლის ქართველთა მუშა და ხელოსანთა ბავშვებს, პირველი მათ შვილებს აქ ადვილად იღებენ მოწათფედ და მიღებაზედ საქმეს არ უჭირებენ. მეორე განდასახადსაც ცოტას ახდენენებენ. ზოგს სულაც არაფერს არ ართმევენ, მესამე ბავშვებს პირველ დაწყებით ქართულ ენის სწავლებით აწყობინებენ და მერე ამის საშუალებით ბავშვებს რუსულ ენასაც ასწავლიან, რაც მათ-

თვის სანაქებო საქმედ ხდება და ბავშვები ერთობ კარვად, უფრო უკეთესად და უწვალებლად სწავლობენ რუსულ ენას. მომავალში რუსულის ენის მხრით არც კონკურენცია გაუწევს ჯიბრს და არცაა მისი მოზობლები დაიღუპებიან რუსულ ენაზედ შესასწავლ მასწავლებელთა ხარჯის გადახდაზედ, ესეთი გარემოება დიდი საქმეა ჩვენთვის და სამეცურ ქალაქში მცხოვრებ მუშა და ხელოსანთათვის, რომელთაც არამც თუ შვილების უმაღლეს სასწავლებელში მიცემა და სწავლება, არამედ მათ თვით დღიური ლუკმაც კი უჭირდებათ. ასეთ პირობა წინაშე ქალაქ ალაგას უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დიდებულს სკოლას დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

დღეის შემდეგ, ვიტყვი, რომ თფილისის მუშა და ხელოსანთა შვილებს ამ დიდებულ სკოლის საშუალებით თამამად შეეძლებათ რომ გამოვიდნენ სწავლა-განათლების ასპარეზზედ იმედია, რომ დღეის შემდეგ გლებ, მუშა და ხელოსანთა შვილებიც მრავლად გაჩნდებიან სწავლა-განათლების ყველა ნაწილზედ. დღემდე, თუ ქართველ მუშათა შვილების რიცხვი ერთობ მცირედ გამოდიოდა სწავლის ასპარეზზედ, დღეის შემდეგ, ამ დიდებულ სკოლის საშუალებით მათ საქმე ერთი ათად გაუადვილდებათ და იგინი თამამად და უადვილესად გამოვლენ სწავლის გზაზედ. ეს დიდებულ სკოლის სასწავლებელი თფილისის მუშა ხალხს და მათ შვილებს დიდს სამსახურს გაუწევს, დიდს ამაგს დასდებს. იმედია რომ სწავლის წესების გაადვილების წყალობით, ქართველ მუშა და ხელოსანთა შვილები მრავლად გაჩნდებიან სწავლა-განათლების ყველა ასპარეზზედ, იგინი თითქმის ყველა ნაწილში და საგანში გამოიჩინენ თავს და საშუალო სასწავლებლის შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელთ გარეშე ადვილად მიღწევენ თვით ევროპის უმაღლეს სასწავლებლებს, ამიტომ თფილისის მუშა და ხელოსანთა ცხოვრებაში ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს დიდს ისტორიულს მხარედ, თუ არ ასეთ მდგომარეობაში.

რეობითი პირობები, ვიტყვით იმასაც, რომ უამისოდ თფილისის ქართველ მუშა და ხელოსანთა შვილები სულ ვერაფერს გახდებოდნენ, მათგან მთავრობის მიერ დახსნილს საშუალო სკოლებში ფეხსაც ვერ შესდგავდნენ. იქნება დაბალ სკოლებში კი მიელწიათ, მაგრამ ვაი იმ მიღწევას, იგი იქმნებოდა ნაძალადევი და განწვალეებული. ამიტომ ქართველ მუშა და ხელოსნებმა კარგად უნდა შეიგნონ ამ დიდებული საქმის მნიშვნელობა, ისარგებლონ მით და როგორც ქალაქ ალაგს მცხოვრებთ მრავლად მისცენ ამ სასწავლებელში შვილები მოსწავლედ. ამას თვით გარემოებაც ითხოვს, თავად აზნაურთა რიცხვი თფილისში ძრვიელ კლებულობს, დიდი გვარის შვილებთან ოჯახებიც სადღა არის, სრულ მცირედლა სჩანან, საფიქრელია, რომ მომავალში, თფილისში, ეს სკოლა მთლიან ქართველ გლეხთა და მუშათა შვილებს დარჩესთ, რადგანაც როგორც ვხედავთ და ამას მაგალითებიც გვჩვენებს, სამწუხაროდ, თფილისში, მკაცრად მცირდება ქართველთ თავად-აზნაურთა რიცხვი, დღეს მათის გვარების იმის ნახევარიც აღარ არის, რაც ადრე თყო მათში. ამიტომ უფრო უნდა ეცადონ მუშებმა და ხელოსნებმა რომ ამ სკოლის საშუალებით წინ წადგან ფეხი, დროა მათაც ისწავლონ სტიპენდიების გაჩენა, ფულის შეწირვა და საერთო ძალით გონებით ამპლდობა, ჩვენი ფარ-ხმალი დღეს ეს და არის, ეს ხედავთ ყოველივე ამაოა.

თვით ამ დიდებული საქმის დაარსების მნიშვნელობაც პირდაპირ ამას შეეხება, რომ მან თავის არსებობით ხელი უნდა შეუწყოს მუშა და ხელოსან კაცთა შვილების განათლების საქმეს. მუშებიც მოვალენი არიან რომ ეს წმინდა მცნებაც კარგად იცოდნენ და უბრალოდ და უმიზეზოდ წარამარა კამათს არ სტეხდნენ, არ სტეხდნენ კამათს მის გამოს, როგორც ზემოთაც მოვიყვანეთ, რომ ამ დიდებულ საქმეს სახელად თავად-აზნაურის სკოლა კი არ უნდა ეწოდებოდეს, არა-

მედ ქართულიო, ან საზოგადოვო, დრო შეიცვალა, გამეფდა თავისუფლება, სწავლა და სიმართლე, ეს ქართველებმა ცკარგად შეიტყეს და შეიგნეს, ამიტომ დღეს ამ დიდებულ საქმეს სახელად უწოდეს ქართველ თავად-აზნაურთ სკოლა კი არა, არამედ „კერძო ქართული გენმაზია“. ესეც სამცხეობა და საყურადღებო ჩვენთვის და იმ პირთათვისაც, ვისაც ძველი სახელწოდების გამო დავა შემოჰქონდათ.

ეს დიდებული საქმე კეთდება განურჩევლად წოდებისა, მხოლოდ ქართველთ ერისთვის. ამ დიდებულმა სამეცნიერო ტრაპეზმა თავი უნდა მოუკრიბოს ქართველთ ძეთა ერთად, იგინი უნდა დააფიქროს თვის თავსა და ვინაობაზედ, სწავლა განათლების მიღებაზედ, ღრმა განვითარებაზედ. თავის ქვეყნის მრავალფეროვანს მდგომარეობასა და გარემოებაზედ, მომავალში ეს შთენი ქართველ ერის წინაშე გახდება გონების საღაროდ, საუნჯედ, შეუძლო გლეხთა შვილებს გზას მისცემს, რომ მათ უადვილესად შედგან ფეხი გონების, ანუ განათლების ტაძარში. ამ დიდებული საქმის საშუალებით ბევრი მუშა და ლატაკი ხელოვნის შვილი მიაღწევს უმაღლეს სასწავლებლის კარამდე, ამათი რიცხვი სამერმისოდ მოიფინება მთელს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში და მერჯიქილამ ესენი ბევრს რასმე შემოიტანენ თვით სახელოსნო ნაწილზედაც. აქამდე ჩვენში თუ მრავლობს სტალიარი, დურგალი, საპოქნიკი, კალატოზი, მკედელი და ორითღვი კიდევ სხვა, მერჯე საქართველოში, ქართველთა შორის, გაჩნდება ევროპის თითქმის ყველა ხელობის და საქმის მცოდნენი, რაც ჩვენის ტომის განვითარების აღორძინების საქმეს ხელს დიდდათ შეუწყობს.

მომავალი მისი ქართველ ტომის წინაშე არის ფართოდ და სახელოვანად მომფიქრებელი მისი, მშრომელი, მზრუნველი და ფულის გამღებნი უნდა ჩაითვალოს საპატიო პირებად არა მარტო ამ განათლების კარის აღგებაში, არამედ ქართ

ველ გლახთა და ლატაკ ხელოსანთა და მუშათა შვილებთა წინაშეც, რომელთაც უამთა ვითარების წყალობით განათლების ასპარეზს ძრვიელ მოკლებულნი არიან, დღეს მათგან ამაზედ არავინა სჩანს, ხოლო ეს დიდებული საქმე კო მათ მისცემს კარგს, დიდს ადვილს შემთხვევასა, რომ ამიერიდამ გლახ, მუშა და ხელოსანთა შიილებმაც იწყონ განათლების ასპარეზზედ გამოსვლა-გამრავლება, მათაც მიაღწიონ უმაღლეს სწავლის კარამდე, დროა მათგანაც გაჩნდნენ მრავლად სხვა სწავლა მეცნიერებით აღზრდილი სასარგებლოთ კაცები ამის ზრუნვა იყო და არის ჩვენი მოღვაწე პირებისა, რომელთაც ამ სკოლის მოგონებასა და გაკეთებაზედ დიდი შრომა დასდეს. ამათი შრომაც ყოველთვის სახსოვრად დაშთება და მასთან პატივ სადებადაც, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ასეთ დიდებულ საქმეს, ასეთ საშვილიშვილო მცნებას, რომელსაც შემწირველობით და ფულის მოგროვებით ვამთავრებთ, მოველინან ჩვენთ შორის ისეთ ზნე წამხდარ და დაცემულნიც, რომელთაც ერთ დღეს, ამ შენობის კეთების ზედამხედველს, დიმიტრი დუმბაძეს, 750 მან. გზაში, იქვე სკოლის ახლოს წაართვეს წართმევის დროს კინამდამ მოკლეს. ეს ფული მუშებისა იყო და იმ დღეს უნდა დაერიგებინათ.

ვგონებთ ეს საზიზღარი ტაცობა ისე არავის უნდა გაერთხას გარს, როგორც თფილისში მცხოვრესთ იმ მუშა და ხელოსან გლახთა შვილებს, რომელთათვისაც ჩვენის მთავრობის წყალობით საშუალო და უმაღლეს სასწავლებლის კატეგორიები დღემდე დაკეტილი აქვსთ, რომელთაც მათის წყალობით პირში სული აქვსთ ამოხუთული და მასთან ტყავიც აქვს გამოძვრალი, უზრდელთ მებრძოლ მტაცავთ აი ამათ მოსტაცეს ის ფული და ამათ შვილებს. ამ პირებმა, ანუ მტაცავთ ასეთის საქმით მიიღეს მონაწილეობა ამ დიდებულ საქმის აღდგენა — აღმართვაში, სამწუხაროა, ამაზედ ჩვენ არ ვკიც-

ხაფთ მათ, თვით ეს ცნობაც კმარა მათ განსასჯელად. ხოლო იმას კი ვიტყვით, რომ ეს ვაუბატონები იყვნენ ქართველები, მუშათა წრიდამ გამოსულნი და ამ მუშათა სახელის მედიდურად მატარებელნი. მალე ყოველივე შეტყობილ იქმნა და აღმშენებელთ მეთაურთ იმდენი სულიერება გამოიჩინეს, რომ ეს პირნი სამართალს არ მისცეს. ისე დასტოვეს და სთქვეს, რომ თვით მათმა სინიდიშმა დასაჯოს იგინიო. ჩვენც ეს ვიკმარეთ. ჩვენ გვწამს ისიც, რომ მუშათა შორის ორიოდ თუ ასეთის ზნის აღმოსჩნდნენ და ასეთის სამსახური გაუწიეს, ამიტომ მათ შორის არიან მრავალნი ისეთნიც, რომელნიც ამ დიდებულ საქმეს დიდებულ მნიშვნელობას აძლევენ და თუმცა შეუძლებლობის წყალობით შემწირველობით ვერაფერს სწირავენ, ხოლო გული და სული კი ყოველთვის პატიოსნებით უცემსთ და ამ საშვილიშვილო დიდს საუნივერსიტეტო გონების ტაძრის აღგებას პატიოსანის თვალით უმზერენ.

აღშენდეს, დამთავრდეს, სწავლა მოეწყოს და იმედია რომ ქართველთა შვილები აქედამ მრავლად გამოვლენ განათლების ასპარეზზედ და ნაყოფსაც ნახვენ, ხოლო ამისთვის ჯერ კიდევ ბევრი შრომა გვინდა და ცდა. უნდა მოგახსენოთ, რომ მთელს მეცხრამეტე საუკუნეში, ქართველთ ტომის სასარგებლოდ, ასეთი შესამჩნევი არა გაკეთებულა რა დასასრულ ვიტყვით იმასაც კიდევ, რომ მის დამწყობ მკეთებელს, ცხვე დაძესთან ერთად დიდოდა მასთან შეტად დაუფასებელი შრომა მიუძღვის ჩვენს ხუროთ მოძღვარს სიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილს და დიმიტრი დუმბაძეს, დაუცხრომელ მუშაკ და ცნობილს მასწავლებელს,

ამ „დიდებულს საქმეს“ დრო და დრო სხვა და სხვა ჯურის მტრები ხშირად ევლინებოან და მით სტეხენ ჩვენის საქმის დასაღუბს ვაივაგლახს და ქორებს. მოგეხსენებათ, რომ უჭკოროთ, უცილოთ და უმტროდ ასეთი დიდი საქმე კი არ

გაკეთდება ხოლმე. სამწუხარო აქ მხოლოდ ერთი ის გახლავთ ამ მტერთა შესახებ, რომ იგინი უმეტესად ისევ ჩვენის ოჯახი-ბიძამ გამოდიან და ჩვენს მოდგმას და ტომს ეკუთვნიან. აი ეხლაც ათასნაირს მტრობის გარდა, ამ საქმის ამშენებელს ნაცხვედაძეს მოევლინენ ვილაც მოციქულები და გამოუცხადეს ასეთი საყვედური, რომ თქვენ თქვენს სკოლის შენებაზედ, ქართველებს გარდა რუსები, სომხები და სხვებიც ამუშავეთო. ასეთი განცხადება გაუგებარ მოციქულებთაგან სწორედ გაუგებარი და მოუსაზრებელია. ეს მოციქულობა წარმოშობილია დაბრმავებულთ უმეტრებისაგან, რომელთაც არავითარი შეგნება და გაგება არა აქვსთ, თავის დღეში, ამ სკოლის მაშენებელთა მეთაურებს არავის მტრობა არ ჰქონიათ და მით უფრო რუსის და სომხის, ისიც ამ დროს, ეს ჭორი და მეტი-ჩრობა გახლავსთ ჩვენის ტყუილის მოციქულების, ტყუილია ეს მით უფრო, რადგანაც სწორედ ამ დროს, ამ შენობაზედ, რუსებიც მუშაობდნენ საღესავად და სომხებიც, ხოლო საფიქრელია რომ მოციქულებს იქმნება ესენიც სულ ქართველები ეგონათ, ვინ იცის, მათი თვალთ ხედვა ისეთი მოკლეა, რომ ყველაფერი შეიძლება. ხოლო ასეთი ცილის და ჯდიერი ჭორების ვრცელება კი არავის შეჰფერის მით უფრო, რადგანაც ამ საგნის შესახებ ჩვენ ზემოდ გაკვრით ვილაპარაკეთ და ავხსენით საქმის და მოსაზრების გარემოება. ვგონებთ მის შემდეგ არავის უნდა ექმნეს საფუძველი რომ ჩვენი დიდებული საქმის მაშენებელთ რამე ცილი დასწამონ.

სირცხვილიკია ჭეშმარიტად, ქართველის ზოგთ ხელოსან და მუშებისაგან ამ სკოლის შენების წინაშე ასეთი მტრობა, ქიშპობა, ჯიბრია, კონკურენცია, შუღლი, სკოლის შენების მასალების ცარცვა, ფულის გლეჯა, მოტყუება და სხვანი, რაც კი ქართველ დაბრმავებულ ხელოსანთათვის საქმე ხელობათ შექმნილა და ამ საგმობს და საძრახს ბაცაცურს მოქმედებას უხვად და ხშირად ხარჯავენ ამ სკოლის წინაშე

სირცხვილი მათთვის და მათი ნამუსის დამხობა და გათახსნი-
რება, რომ ასეთ დიდებულ საქმეს ასეთ მტრობით უმზერუნ.
ასეთ ღვაწლსა სდებს ქართველი ხელოვნები ამ შენობის სა-
ქმეს და ასე უხდიან იგინი თავიანთ სამაგიეროს. რა გაეწ-
ყობა, ჩვენც ვუყურებთ ამათ ასეთ საქციელს და ვნიშნავთ
სამახსოვროდ როგორც საგმობ საქმის აღსანიშნავს გარემოე-
ბას. ეს აღნიშვნა თვით ჩვენს ქართველ ხელოვნებს და მიუ-
შებს სირცხვილს უნდა გვრიდეს და აფიქრებდეს, რცხვენო-
დეთ მით უფრო, რადგანაც ასეთის საქციელით იხატება მა-
თი უსუსურობა, უმეცრება და მრავალიც სხვა ამ გვარები,
რაშიაც იგინი მძლავრად არიან გახვეულნი ჩვენ მათს ასეთ
დანაშაულობას უპეტესად უმეცრებით ვხსნით და ამიტომ არც
ვემდურით, რადგანაც როგორც „უმეცართა არა იციან რა-
საც იქმნიან“. როცა გაიგებენ რამეს, მაშინ თვით შევლენ
სინანულში, რადგანაც იგინი მტრობდნენ თავიანთ შვილების
და შვილის შვილების აღსაზდელს დიდებულ შენობის საქ-
მეს. ნაცვლად დახმარების და ხელის შეწყობის, ესენი ასე
უხდიან სამაგიეროს და ამიტომ ჩვენც მიუტევებთ მათ რო-
გორც მისატევებელთ ცხოვართა.

ჩვენი სკოლის არსებობის და შენების საქმეს, უნდა
ვსთქვათ, რომ მართოდ ქართველ მუშათა და ხელოსანთა რი-
ცხვი არ იყო მტრად გადაკიდებული და მოდავეთ. ამათ
რიცხვს მცირედ ჩვენის გამცნებულ ნაწილიც ემატებოდა
და დღესაც ემატებიან. ასეთ პირთა რიცხვს ყოველთვის ჰქო-
ნიად სკოლის ბედზედ კამათი და სჯა, მათს კამათს ხშირად
იქამდის მიუყვანია საგანთა სჯა, რომ მათ თამამათ უთქვამთ,
რომ ეს სკოლის შენობა ჩვენგან დაუმთავრებელი რჩება, ჩვენ
მის დამთავრებას ვერ მოვახერხებთ, ამისთვის არც ბანკს აქვს
ძალა და სახსარი, ამიტომ ეს სკოლა გაფყიდოთ, ამაში მოგ-
ვცემენ მილიონ ნახევარს, ამითი ჩვენ შეგვეძლეება, რომ სხვა
აღაგას ჩვენი საკუთარი სკოლაც ვიქონიოთ, თუნდ ვიყიდოთ.

ან გაფაკეთოთ, მასზედ დაეხარჯოთ ანაღების მესამედი, და ნარჩენით ვალები მოვიცილოთ, ზოგი სკოლასათვის შევინახოთ! ასეთი დარიგება შეიძლება ერთის მხრით კარგია იყოს ვინ იცის, მაგრამ ჩვენთვის კი იგი გამოუსადეგარია, მიუწლომელი, ამის მიხვედრას მაშინათვე უჩნდებოდნენ გულშემატკივარი პირნი და მკაცრად არღვევდნენ ხსენებულ პირთა ოცნებას, იტყოდნენ ესენი, რომ ამ შენობის გასყიდვა ჩვენგან შეუძლებელია, ჩვენ მას ავაშენებთ, დავაარსებთ სკოლად და გაყიდვის კი სულ არა იქმნება რასამაზედ სჯა მეტია და აშემაფერი, სირცხვილი, რომ ქართველ ერს, რომელთა რიცხვიც ორ მილიონზედ მეტისაგან შესდკება, რომ მათ თაფიანთ დედა ქალაქში, ერთი ასეთი შენობაც არ აქვდეთ სკოლისთვის. ამ სკოლის მეთაურ ნიკოლოზ ცხვედაძემ სთქვა: მთელს საქართველოში ყულაბებით მოვაგროვებთ ფულს, ასე წვრილად მოგროვილის ფულით დავამთავრებთ და გაყიდვაზედ კი ნურავინ რას იტყვის. ეს ასეც იქმნება, ამას ფიქრი არ უნდა, იქმნება მით უფრო, რადგანაც ნ. ცხვედაძეს ეს შენობა დიდის ნატვრით და შრომით უკეთებია, ამ გაკეთებისთვის მას ჩვენგან არაფერი უღია, გარდა ამისი, სხვებიც ხშირად უწუხებია და დახმარება უგროვებია, რის წვითა და დაგვიტ გაკეთებულა ეს საშვილიშვილო სახლი და განა ამაზედ ვინმემ სიტყვა უნდა სთქვას: რომ რაკი ველარ ვათავებთ, რაკი სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილიც მოგვიკვდა, ამიტომ ეს დაუმთავრებელი შენობა სჯობს გაყიდლოთ, ვინემც სხვა და სხვა პირთა თხოვნით და ღრითინათ ვამთავროთო ჩვენ ამას ვერ შევძლებთო წარმოვიდგინოთ ის მწუხარება და ნაღველი, რაც კი ამ ლაპარაჟის დროს დაგვებადა, როგორც განა შეიძლება ჩვენ ეს საქმე გვექმნა, ამითი ჩვენ შეუცხყოფას ძივაყენებლით იმ პატიოსან პირთა, რომელთაც კი ოდესმე ასეთ საქმეს რამე შესწირეს, თვისი ხსენება და ცნობები ამ სკოლის არსებობის ისტორიაში მჭიდროთ ჩაქ:

სოვეს. ასეთ საპატიო პირთა რიცხვს ეკუთნოდა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რომელიც ამ სკოლის შენების საქმეს ისე უმჯერდა, როგორც ჩვენის ტომის ძეთათვის აუცილებელს საჭიროებას, როგორც ტაძარს განვითარებისას, საეროვნო ნაშთს, მშვენიერებას ჩვენის განვითარების ისტორიისათვის. ვერ გადმოგცემთ იმ შეხედულებას, რითაც კი სტეფანე კონსტანტინეს ძე იყო ამ შენობის გამო აღძრული. პირველ ნახვის დროს იგი ამ შენობის ყურებით ისე დასტკბა, რომ იქავე მომუშავეთ 100 მან. მისცა საჩუქრათ. რათა მათ ამით სადილი ექამნათ და მასთან კარგათაც ემუშავნათ ამ საშვილიშვილო ღირს სახსოვარს ძეგლზედ. სთქვა სტეფანე კონსტანტინეს ძემ: — ოო, ნ. ცხვედაძეს დიდი რამ სამახსოვრო შენების კეთება დაუწყვია, მას მილიონი უნდა და არა ათასები. ჩვენც მოვალენი ვართ, რომ ასეთ საქმეში ხელი შეუწყუთ. მე ჩემის მხრით მას მფარველობას და დახმარებას არას დროს არ მოვაკლებ, ვე საქმე ჩვენთვის მეტად დიდებულია და საყურადღებო. მაშინ ჩვენ სტეფანე კონსტანტინეს ძე ამ სკოლის მფარველად ვაღიარეთ. ჩვენი ასეთი შეხედულება მანაც კარგად იცოდა, იგი თანახმა იყო ამის და ბაქადაძემ ისე არ ჩამოვიდიოდა თფილისში, რომ სკოლის შენობის საქმე არ გამოეკითხა, თვით არ ენახა ეს სამახსოვრო შენობა. ერთხელ სკოლის შენობა გავინჯა, დაათვალიერა ყოველისფერი და მოხარული იყო დიდათ, წასვლის დროს ნიკოლ. ცხვედაძეს მიმართა და ასე უთხრა: მე ვატყობ, რომ თქვენ ჩემზედ გული უნდა გეთანაღრებოდეს, რადგანაც სკოლის შენება ისე ვერ გავინჯე, ეს როგორც თქვენ გენებებოდაო. არაო, პატივცემულო ნიკოვო, მე ეს საშვილიშვილო ტაძრის შენება სწორედ ისე გავინჯე, როგორც ეს თქვენ გენატრებათო. მე დავსტკბი ამით და ამიტომ დღეის შექმნე ჩემს თავს ამ სკოლის მფარველად ვაღიარებო. ასეთის წრფელის შეხედულების იყო ეს მარად სამაგალითო ადამიანი

ამიტომ ჩვენც ამის სურათს ვათავსებთ აქ თავმოწონებით, ვათავსებთ მით უფრო, რადგანაც ეს ძვირფასი ადამიანი საერთოდ ქართველებში ყველას ამას ავედრებდა: სკოლის დახმარებას, შენობის დამთავრებას და სხვანი. ესევე მცნება დაუტოვა მან თვით თავის ძმებს: ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილებს, რომელნიც ამ ვალს სუფთად ასრულებენ. სტეფანე კონსტანტინეს ძე, როგორც შეძლებული კაცი — ქართველ ძეთა განვითარების საქმეს მეტად კარგის თვალით უმზერდა, უხაროდა ამ ერის აღორძინებას საქართველოში, იტყოდა ხოლმე: რომ დრო არის, ქართველი ერი საქართველოში ამალღდეს სწავლა-განათლებლით და საქართველოს სიყვარულით, უამისოდ ჩვენ არაფერი, გროში, კაპეიკი არ ველირებითო. ყოველი ჩვენთაგანი მოვალეა, რომ თითო აგური მიიტანოს და ამ განათლების ტაძარზედ დასდოს მის დასამთავრებლად. ენატრებოდა ამ სკოლის დამთავრება მას მით უფრო, რადგანაც ქართველობის უნიჭობაზედ ლაპარაკი მას ერთობ ერიდებოდა, სწყინდა და იტყოდა ხოლმე, რომ განა ამასაც მოესწრო ქართველი ერი რომ მათ უნიჭობის სახელიც დაიმკვიდრესო!? ამიტომ განსვენებულს ჰყავდა მრავალ სტიპენდიანტები ქართველის გვარისა, საშუალო სასწავლებელთ ქართველთ მოწაფეთაც დიდათ ეხმარებოდა, რაცა კი რამ გააჩნდა ამ ძვირფას ადამიანს, ყველა იგი ქართველთ შვილებთა განვითარების საკუთრებათ სწამდა. ეს ბევრმა იცის ჩვენში.

ამიტომ თამამად ვნუხსაფთ აქ ამ პირის უპირატესობას საქართველოში მამულის შეგროვებაში. სამწუხაროდ დღეს ასეთი პირი მეტად იშვიათია. ჩვენში მამულის შეგროვება და საქართველოც ხომ აღვილად იგობა, კუჭის კრთხვების გამო დავივიწყეთ ყველაფერი.

დრო კია, ჭეშმარიტად, რომ ასეთის მცნებეთ დღეინდელი ქართველობაც დაირაზმოს, ჩვენის თვალით ვხედავთ, თუ ჩვენი დროის თაობა როგორ ახელს თვალებს სწავლისთვის, ყველამ შეიგნო, თითქმის რომ ცხოვრებაში ჩვენთვის სწავლა განათლების მეტი სხვა აღარა არის რა დაშთენილი. ამიტომ მოვალენი ვართ, რომ გავახილოთ თვალები და სკოლების მხრივ ჩვენი შეილების საქმეს ხელი შევეუწყოთ, ვუშველოთ თორემ დღეინდელი ორ კლასიანი, სამი და ოთხიანიც მთლად მოსასპობნი, დასაკეტნი და გადასაკეთებელნი არიან, რადგანაც იგინი თავიანთ წესებით ჩვენი შეილებისგან გლახებთა რიცხვს უფრო ამრავლებს და არა საქმის მპოვნელთ მცოდნე მშრომელთ.

სკოლიდამ გამოსულ ჩვენი შეილების ათასობით დადიან ცუდათ, უსაქმოთ, მშივრები, მწყურვალეები, ადგილების მძებნელნი, ანუ საქმისა, მაგრამ სად არის საქმე, სტოროჟად, დვორნიკად, რაზნოშიკად, ლაქიათ და სხვა ასეთ მოსამსახურედ ესენი არ დადგებიან, მიტომ რომ წიგნი ვიცით, სკოლაში გვისწავლიათ ხელოსნობა ამათ არ იციან და სხვა ძალა არა აქვსთ, რომ ვისმე ვაჭართან მივიდნენ შევირდათ, ან პრიკაშიკად. დაბალ სამსახურის ადგილები ერთობ ცოტა არის მთავრობის ნაწილში და მალლისთვის კი იგინი შომზადებულნი არ არიან. ამიტომ ასეთ მოწათეთაგან ჩვენში დღითი დღე მრავლდებიან ბოგანონი, პროლეტარნი, იგინი დიდს გაჭირვებას ითმენენ, შეწუხებას, მათი ცხოვრების გაცნობა ერთს საცოდავობას წარმოადგენს, ამას ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ შემდეგისთვის მას მეტად ცუდი ნაყოფი მოჰყვება.

ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, რომ დავტოვოთ შინაური ჩხუბები, ულოლიკო კინკლაობა და საქმის კეთებას შეუდგეთ, ვაკეთოთ ის რაც საჭიროა, თორემ მარტოდ თავდაზნაურების ლანძღვა-გინება და ბურჟუაზიის უმართებულოდ

გმობა არ გამოდგება, ანუ დემოკრატებისაგან ფედერალისტების მტრობა და ამათაგან კიდევ მათი არ გამოდგება მიტომ, რადგანაც ერთშიაც უსუსური ბავშვები ვართ და მეორეშიც. ჩვენს შვილებს პირში სული ეხუთებათ ცუდადობით, და შიმშილი მუსრს ავლებს მათს რიცხვს და ამ დროს ჩვენ კი მათ გარემოებას ზედაც არ უყურებთ, არამედ სხვა და სხვა ავტორიტეტთან წერილებით ვკვებავთ, ლანძღვა-გინებით, ერთმანერთის მუქარებით, პარტიულის დაშინებით. ესეთი შეცდომები სწორედ უკულტურო საღის ხელობა უნდა იყოს და არა ჩვენი, მაგრამ მრასა ვიქმთ, ხანა კოსმოპოლიტობის დაგვიდგა, ჩვენში ყველა მეცნიერია, ყველას სიბრძნე ყელში ეჩხირება, ამიტომ იგინი დაბლა კი არ იყურებთან და ამ ცოდვილს მიწაზედ კი არ ხედვენ სხვა და სხვა მასალებს, არამედ მალლა, ცაში დაფრინვენ და იქ სტკებებიან ევროპიულის ტერმინებით. ბაქი ბუქით, მუქარებით და სხვანც.

ამიტომ დროა, რომ ვიზრუნოთ ამ სკოლის შესახებ, იგი ისეთის წესებით მოვაწყოთ, ისეთის გეგმით, რომ ჩვენის ცდით და შრომით იგი სკოლა ჩვენ გლახების მაგიერობიანი, ნასწავლ მშრომლებს გვაძლევდეს და გვიმრავლებდეს. ქართველებში თუ სულ არ დაბრმავებულან, მაშინ ამ სკოლას დახმარების მიმცემნი მრავლად უნდა გაუჩნდენ. ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენთ მზრუნველთ რომ სკოლისთვის შეძლება აქვნიდესთ, მაშინ იგინი ამ სკოლას ისეთს სამაგალითო წესით მოაწყობენ, რომ იქნება ბოლოს თვით მთავრობამაც კი მიაქციოს ყურადღება და თავის უწესო წესების შექონი სკოლები ამ სკოლის გეგმით გარდააკეთოს, ყველაფერი მოხდება, თუ ჩვენ ფხიზლები ვიქნებით და დაუცხრომლად ვიმუშავებთ და ძალას შევსწირავთ, რომ ჩვენმა სკოლებმა მშვიერი გლახები კი არ გვიმრავლოს, არამედ საქმის მცოდნენი და თავიანთ თავის მოყვარენი. ამის ვალი აქვს ჩვენს სკოლას დღეს.

ვგონებთ კმარა, სირცხვილიც კი უნდა იყოს ამდენი უბედურების და ქვეყნის რბევა ჩვენის უმეცრების წყალობით, გაუნათლებელი კაცი, უმეცარი მებრძოლი არაფერ საქმეში, არაფრის ასპარეზზე არ გამოდგება, ეს ჩვენის თვალით ვნახეთ. ამიტომ ჩვენც უნდა ვიკმაროდ ამდენი მსხვერპლი, ამდენი უბედურება და ვყოთ ის, რითაც კი ჩვენ ჩვენს ახალ თავობას ცოდნით ავამაღლებთ, ასეთის ამაღლებით იგინი განშორდებიან ბევრს რამ უმეცრებას და მასთან მომავლისთვის შეიქმნებიან საუკეთესო მოქალაქედ, საუკეთესო პოლიტიკურს ფმირებად, პიროვნების მცოდნეთ და სხვანი. ამიტომ მოვალენი ვართ, რომ ჩვენც ასეთ დიდებულ საქმეს ხელი შეუწყოთ, ყოველს კუთხეს და თემზედ რიგიანის გეგმით სკოლების დახსნისა სიყვარული ვავარცელოდ, ჩვენი მოზარდის თავობის ყოველ ნაირად განათლებას, სულით ამაღლებებზე, დაწინაურებას ვნატრობდეთ ეს უნდა იყოს დღეს ჩვენს ვალად გამხდარი. ამის მეტა ანუ სწავლა განათილების მეტი ჩვენ ეხლა აღარა გვიშველის არა, სხვა მის მეტი არა დაგვრჩენის რა, ეკონომიური ძალაც ეს არის, პოლიტიკურიც, სოციალურიც აღა სხვანი, უამისოდ კი ჩვენ არაფერი ვიქნებით.

ზ. ჯ.





სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

37
4551

37

ჭ 551

იბეჭდება და მალე გამოვა

1. მოკლე ისტორია ოსმალეთის საქართველოსი.
2. ალი ფაშა თავდგირიძე და ახალგაზრდა ოსმალთა წრეები.
3. ქართველების გადასახლება ოსმალეთში 1879 წ.
4. სასულიერო წოდება ქართ. მაჰმადიანთა.
5. სწავლა-განათლების საქმე ქართველ მაჰმადიანებში.
6. გურჯისტანის ქალი და მრავალ-ცოლიანობა ქართველ მაჰმადიანებში.

ფასი 10 კაპ.